პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 136 (19877) შაბათი, 13 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი

ერთ-ერთი საქმიანობის ხასიათით ინსტრუქტორი უპირველეს ყოვლისა ორგანიზატორია, რომლის მოვალეობა უკვე განსაზღვრულია მისი თანამდებობის სახელწოდებით: მან უნდა გაუწიოს ინსტრუქციები — ახსნაოს, დაეხმაროს. ინსტრუქტორის, ისევე როგორც ყოველი პარტიული მუშაკის, მოვალეობა ის არის, რომ გარკვეული გეზის განხორციელებისას გაითვალისწინოს შექმნილი ვითარება, დაეყრდნოს საჭირო ადამიანებს, დროულად გამოიცნოს მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებები. ამასთანავე, ინსტრუქტორი უპირველესად უნდა ერიდოს ფორმალობას, ქაღალდთმოსწავლეობას, ესწრაფოდეს კონკრეტულ, ცოცხალ საქმეებს, იმას, რომ ქაღალდის ნაკადი და მოზღვავებული ინფორმაცია ხელს არ უშლიდეს, რომ ყველაფერი ერთბაშად ჩანდეს და თვითონაც შესამჩნევი იყოს. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ ეტაპზე, როცა, როგორც ეს სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში ითქვა, „გარდაქმნის საჭიროება ყველას და ყველგან როდი შეუგნია. ჯერ კიდევ ბევრია ორგანიზაცია..., სადაც ჯერჯერობით არ იგრძნობა სათანადო განწყობა სერიოზული, თვითკრიტიკული ანალიზისათვის, პრაქტიკული დასკვნების გამოტანისათვის. თავს იჩენს მიდრეკილება ძველისადმი, დროის გრძნობის უქონლობა, ლტოლვა მეტისმეტი ორგანიზებულობისადმი, ორჭოფულად ლაპარაკის ჩვევა, საქმის ნამდვილი მდგომარეობის გამჭვანვნების შიში“. ამ ნაკლოვანებების დაძლევაში დიდი როლი უნდა შეასრულოს რაიკომის თითოეულმა მუშაკმა, მათ შორის ინსტრუქტორმაც, რომელსაც პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ყოფნის დროს, ასე თუ ისე, საქმე აქვს პარტიული ცხოვრების ყველა საკითხთან. ამიტომ რაიკომის პირობებში ინსტრუქტორთა შრომის დანაწილება არ გამორიცხავს გარკვეულ უნივერსალიზმს, საერთო მოვალეობის შესრულებას. თითოეული ინსტრუქტორისაგან პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოელიან მითითებებს, ინფორმაციებს და მეთოდიკურ ინსტრუქციას დადებით გამოცდილების შესახებ, საქმის ვითარების ობიექტურ შეფასებას და ა. შ. ამიტომ სწორი არ იქნება, ინსტრუქტორმა თავი აარიდოს ნაირგვარ პასუხს, რომლებიც სცილდება გარკვეული პროფილის ფარგლებს და კომუნისტები ამისათვის გავუგზავნოთ აპარატის სხვა შუამავლებს. თუ ინსტრუქტორს არ ძალუძს ერთბაშად მიუთითოს, როგორია ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისადმი სწორი მიდგომა, მაშინ ის უნდა მოეთათბიროს სხვა განყოფილებებში მომუშავე ამხანაგებს, რაიკომის მდივნებს და აუცილებლად გასცეს პასუხი.

ინსტრუქტორის პირდაპირი მოვალეობაა ეხმარებოდეს პარტიულ ორგანიზაციებს პრაქტიკული შუამავლის სწორ შეფასებაში, ყოველმხრივ უწყობდეს ხელს ყოველივე საუკეთესოს გავრცელებას. პარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტში ინსტრუქტორების უშალო მონაწილეობით გამუდმებით აზოგადებენ და პლენუმებისა და ბიუროების სხდომებზე განიხილავენ პარტორგანიზაციების შუამობის კონკრეტულ გამოცდილებას. აპარატის ფორმირებისას რაიკომი ითვალისწინებს თითოეული შუამკის ორგანიზატორულ ნიჭსა და პრაქტიკულ გამოცდილებას. შემდგომში ეს შუამკებს ხელს უწყობს უკეთესად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობანი. სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება ყველგან როდი იციან. ვაწყდებოდით ხოლმე გადაცდომებს, უხეშ დარღვევებს, ნათესაობის თუ პირადი ერთგულების გამოვლენის ფაქტებს. მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ პარტიის თბილისის კიროვის რაიკომის ბიურომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის პასუხისმგებელ მდივნად დაამტკიცა სხვა რაიონში მომუშავე კაცი, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი დამსახურება, მუშაობის არავითარი გამოცდილება და არ ირიცხებოდა რეზერვში. იგი ფორმალურად გაფორმეს ე. პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხანაში და ერთი წლის შემდეგ დამტკიცეს პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად, რამელიც კურირებას უწევდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს პირველადს პარტორგანიზაციებს...

კარგი ინსტრუქტორი გამოირჩევა კონკრეტული, ცოცხალი საქმით. პირველადს პარტორგანიზაციებში იგი სამართლიანად მიაჩნიათ არა რეგიზორად ან რწმუნებულად მორიგი კამპანიის მოწყობისათვის, არამედ პოლიტიკურ ორგანიზატორად, რომელიც ყოველთვის მზად არის პრაქტიკული დახმარებისათვის. ამიტომ ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ინსტრუქტორთა შემადგენლობის როლი ძირეული პარტიული რგოლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებაში. ინსტრუქტორი, როგორც პოლიტიკური ორგანიზატორი, ბუნებრივია, თავისი სამუშაო დროის უდიდეს ნაწილს პირველადს ორგანიზაციაში ატარებს. მაგრამ იგი იმასაც არ ივიწყებს, რომ შესაძლოა რაიკომში ნებისმიერ დროს მიაკითხონ რჩევისა და დახმარებისათვის. ამიტომ საჭიროა აპარატის მთელი საქმიანობის გულდასმით მოფიქრება და დაგეგმვა, ეკრეთ წოდებული საკანცელარიო საქმის შესამცირებლად ორგანიზაციურ შუამავლობასთან. თუ ადამიანები პარტიულ კომიტეტში მოდიან და იგი თავიანთ მეორე სახლად მიაჩნიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ საიმედო კომიტეტის კავშირი პირველადს ორგანიზაციებთან, აპარატი და ინსტრუქტორი სწორად ასრულებენ თავის ფუნქციებს.

ინსტრუქტორის შრომის ეფექტიანობა, ცხადია, დამოკიდებულია საერთოდ აპარატის შრომის კულტურაზე, პარტიულ კომიტეტში მთელი საქმის ორგანიზაციაზე. თავის მხრივ, რაიკომის საქმიანობის წარმატება წარმოთვლენელია ინსტრუქტორების ყოველდღიური შეფასებითი ძიების, მათი თავგამოდებული და თანამიმდევრული შუამავლობის, განსაკუთრებით პირველადი პარტორგანიზაციების დახმარებლად გაწეული შუამავლობის გარეშე. ინსტრუქტორი, ყველა პარტიული შუამკის მსგავსად, მოქმედებს დარწმუნების საშუალებებით. ეს არის მასებზე მისი ზემოქმედების მთავარი მეთოდი. პარტორგანიზაციების მდივნებთან და პარტჯგუფებთან ინსტრუქტორის ურთიერთობას უნდა ახასიათებდეს ერთმანეთისადმი ნდობა და ულანძღლობა. მაგრამ ადამიანებთან გულწრფელი დამოკიდებულება რომ გვონდეს, თვითონ უნდა უჩვენო მაგალითი, გამოავლინო ნდობისა და გულისხმიერების უნარი. სხვაგვარად ძნელია ელოდე თანაგრძნობას. ამიტომ საჭიროა გუსმოდეს მასისა, გქონდეს მიდგომის უნარი, ცხოვრობდე, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, შუაგულ მასაში, იცნობდე განწყობილებას, იცოდე ყველაფერი. მაგალითად, პარტიის ცხაკიას რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორის ჯულიეტა ჩოჩიას საკურატორო ზონაში 31 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა, რომლებშიც ცხრასამდე კომუნისტია გაერთიანებული. ინსტრუქტორი მეე ნელ დროს პირველადს ორგანიზაციებში ატარებს, ანუ, როგორც ხშირად ამბობენ, ზონაში მიიჩქარის. ამიტომ მან ზედმიწევნით იცის თითოეული შრომითი კოლექტივის განწყობილება, სულისკვეთება, ავ-კარი, შრომითი პოტენციალი. ეს კი დიდ დახმარებას უწევს პარტიის რაიკომს, თვით კოლექტივს ხარვეზების დაძლევაში. ანდა ავიღოთ მეორე მაგალითი. პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორს ვალერი რევიშვილს, რომელიც რაიონის კულტურისა და განათლების დარგებს კურირებს, 60 პარტიულ ორგანიზაციასთან უსდება ურთიერთობა, სადაც ოთხი ათასამდე კომუნისტი იერიცხება. ასეთ პირობებში, თუ გააზრებული და შემოქმედებითი, ვეგმიანი შუამავლობა არ არის, შეუძლებელია ფონს გასვლა. ამიტომ ინსტრუქტორის სამუშაო დრო წინასწარ დაგეგმილი და განაწილებულია. მან უკვე წინა დღით, საღამოხანს იცის და შეთანხმებულია, მეორე დღეს რომელ პარტიულ ორგანიზაციაში რა საკითხთან დაკავშირებით უნდა მივიდეს. ეს კი გამორიცხავს შემთხვევითობას, დროის უქმად დაკარგვას და ინსტრუქტორს საშუალებას აძლევს წინასწარ კარგად შეისწავლოს ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანი.

ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის თანამედროვე ეტაპი თითოეულ პარტიულ ორგანიზაციას, თითოეულ პარტიულ მუშაკს გაზრდილ მოთხოვნილებებს უყენებს. მით უმეტეს დღეს, როცა, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე ითქვა „გარდაქმნის პირობებში ჩვენ არა გვაქვს მზამზარეული რეცეპტები“. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ყველგან მიმდინარეობდეს შემოქმედებითი ძიება ახალი მეთოდებისა და გადაწყვეტილებების მიგნებისათვის. თანაც ამის პარალელურად მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გარდაქმნის პასუხსაგებ გამოცდას აპარატებენ მთელი პარტიული კადრები. ეს კი უშუალოდ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორსაც ეხება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 11 ივნისს გამართულ სხდომაზე განიხილა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე სახალხო მეურნეობის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაყვანის საკითხი. ამ საკითხზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დასახულია ასეთი გადასვლა განხორციელდეს ეტაპობრივად 1988-1989 წლების განმავლობაში. ამასთან გათვალისწინებულია, რომ უზრუნველყოთ დიფერენცირებული მიდგომა, რომელიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციფიკას თვალისწინებს. აღინშნა, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა ქმნის საჭირო პირობებს, რათა პრაქტიკულად განხორციელდეს სახელმწიფო საწარმოთა (გაერთიანებათა) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის დებულებანი.

დასასრულ ღონისძიებათა განხორციელება იქნება დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი სახალხო მეურნეობის მართვის ძირეული გარდაქმნის, შრომითი კოლექტივების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების გაძლიერების, საწარმოო და სოციალურ განვითარებაში საწარმოთა დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაფართოების, სოციალისტური გერგილიანობის, პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გზაზე.

პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გაძლიერონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომლის მიზანია გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების აქტიური დანერგვა, აღნიშნული სამუშაო მიიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

პოლიტბიურომ განიხილა მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის ყაზახეთის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ ყაზახეთის სს რესპუბლიკამ ყველა მოძმე ხალხის ყოველმხრივი და უანგარო დახმარების მეოხებით მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში. რესპუბლიკის მრავალეროვან მოსახლეობას შორის დამყარდა თანასწორუფლებიანი, ნდობისა და ერთმანეთის პატივისცემის ურთიერთობა. ამავე დროს, რესპუბლიკის წინანდელმა ხელმძღვანელობამ დაუშვა დამახინჯებანი ეროვნული პოლიტიკის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალიზაციაში, საკადრო საკითხთა გადაწყვეტაში, პარტიულმა კომიტეტებმა არსებითად შეანელეს მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობა.

პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ შეუწყვარებელია პარტიული ცხოვრების ნორმებისაგან უყაზახეთში დაშვებული გადახრები, ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების დარღვევები და რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს მოსთხოვა განაორიელონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი. შინაგნმისა და ნაციონალიზმის, ეროვნული კარჩაკეტილობისა და ყოყოჩობის ყოველი გამოვლინება უნდა მიიჩნიონ ჩვენი უდიდესი მონაპოვრის — ხალხთა ძმური მეგობრობის, საბჭოთა საზოგადოების ინტერნაციონალური ერთიანობის ხელყოფად.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ინტერნაციონალიზმი საქმით უნდა ვლინდებოდეს, უწინარეს ყოველისა, ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში ყაზახეთის წვლილის გაზრდით, რესპუბლიკაში შექმნილი სამეცნიერო-საწარმოო პოტენციალის უკეთეს გადადებით, საერთო-სახალხო ამოცანების გადაწყვეტაში, რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში აქტიური მონაწილეობით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მუშათა კლასის, უწინარეს ყოველისა, მრეწველობის წამყვანი დარგების ეროვნული კადრების შემდგომ განმტკიცებას. აღინიშნა, თუ რადენ საჭიროა ძირფესვიანად აღმოიფხვრას პროტექციონიზმი, მუშაკთა შერჩევა ნათესაურ-ტომობრივი, კუთხური და ამხანაგური ნიშნებით, მიაღწონ ხელმძღვანელ ორგანოებში, პარტიულ და საბჭოთა აპარატში, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების სათანადო წარმომადგენლობას. მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა გახდეს მტკიცე ინტერნაციონალისტური მრწამსისა და პატრიოტული გრძნობების ჩანერგვა. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს რეკომენდაცია მიეცათ ღონად გაანალიზონ ამ მუშაობის მდგომარეობა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა მიხედვით.

განიხილეს მეთორმეტე ხუთწლედში საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობების დაზუსტების საკითხი. სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის გაძლიერების მიზნით საჭიროდ ცნეს ყველაკე გაშალონ იგი უშუალოდ შრომითს კოლექტივებში, მაქსიმალურად წარმართონ შეჯიბრება პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევისათვის, რესურსთადაზოგვის უზრუნველყოფის, ხელშეკრულებების მიზედვით მიწოდების ზუსტი შესრულების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების ათვისების, ბინებისა და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობის დაჩქარებისათვის. გათვალისწინებულია დაზუსტდეს შეჯიბრების პირობები, რათა იგი უფრო საგნობრივი გახდეს, უკეთ ითვალისწინებდეს ადგილობრივ სპეციფიკას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი.

საქმემ გამოაჩინა

სტაბილურად მუშაობს თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივი. ახლა, გარდაქმნის პირობებში, როცა გზა გაეხსნა ინიციატივასა და შემოქმედებას, სულ უფრო მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი, უმჯობესდება ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. მეინსტრუმენტეები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მიწოდების ვალდებულებების შესრულებას.

საწარმოში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ხუთწლედის ორი წლის დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შესრულდეს.

შრომითი შეჯიბრების მოწინავეა ელექტროოპერატორი, კომუნისტი მამუკა დევდარიანი, რომელიც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებას. მის მუშაობას დადებით შეფასებას აძლევენ. მამუკა მუშაობას წარმატებით უხამებს სწავლას.

იგი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია.

კარგ შედეგებს აღწევენ ხარატები ვიქტორ ფარნიაშვილი, დიმიტრი არეშიძე, ამწყობი ზეინკლები გია გელაშვილი, ლაშა ჯანელიძე და სხვები.

• • •

სურათზე: სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე ელექტროოპერატორი მამუკა დევდარიანი.

ჟ. რასოლევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მიწოდების დისციპლინა — მეშვრნეოზრიოზის კანონია

53,5 მილიონი მანეთი — ასეთი თანხის პროდუქცია დააკლეს მომიჯნავეებსა და მომხმარებლებს იანვარ-მაისის პერიოდში საქართველოს ინდუსტრიულმა საწარმოებმა. საანგარიშო სტატისტიკამ ზუსტად გამოავლინა მოვალეები: მთლიანად არ შეუსრულებიათ თავიანთი დაპირებები პარტნიორთა წინაშე 81 საწარმოს კოლექტივებს. ეს რესპუბლიკის ყოველი მეოვე საწარმოა, რომელიც იყენებს პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებელს მიწოდების ვალდებულების გათვალისწინებით. თუმცა შარშან შესაბამის პერიოდში არაკურატულ მიმწოდებელთა რიცხვი თითქმის ერთიორად მეტი იყო, მაგრამ თვითდამშვიდების საბაბი მაინც არ უნდა გვქონდეს.

„ყველაზე დიდი ჩამორჩენა დაუშვეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გაერთიანებებმა და საწარმოებმა, რომლებსაც ვალად დაედოთ 21,9 მილიონი მანეთის ნაწარმი. ხეტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის ოთხმა საწარმომ მომხმარებელს დააკლო 1,3 მილიონი მანეთის პროდუქცია. „სპარიმა“ სიაშია ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 21 საწარმო, აგრომრეწვის სისტემის 6 საწარმო, რომლებმაც მომხმარებლებს დააკლეს 7 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ეკონომიკური მიმოხილვა

იმ შრომითს კოლექტივებს შორის, რომლებსაც კოოპერაციაში შემავალი პარტნიორების ყველაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია დაედოთ ვალად, არიან ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება (8 მილიონ 863 ათასი მანეთი), თბილისის №1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა (3 მილიონ 936 ათასი მანეთი), ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონი“ (2 მილიონ 851 ათასი მანეთი), „ასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი (მილიონ 976 ათასი მანეთი), საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“ (2 მილიონ 100 ათასი მანეთი), მთელი რიგი სხვა საწარმოები.

საქმის ვითარება უკეთ არც იმ ზოგიერთ საკავშირო საწარმოშია, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობენ. მაგალითად, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ მომხმარებელს დააკლო რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელმა“ 4 მილიონ 135 ათასი მანეთისა, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ახოტმა“ — 955 ათასი მანეთისა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ — 769 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამ საწარმოთა მუშაობის ანალიზმა ცხადყო, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევა უმრავლეს შემთხვევაში იმის მიზეზია, რომ შეთანხმებული არ არის საწარმოო გეგმები რესურსების ფონდებთან, ეგანწესოდ გაეცემა მასალები გარეშე ორგანიზაციებს, ირღვევა ხელშეკრულებათა დადების ვადები, არის მრავალი სხვა მიზეზი. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი შეცდომით განმარტავს ახალ პირობებში მეურნეობრობის ნორმებს, აკორექტირებს და ცვლის დამტკიცებულ დავალებებს.

მარტო მიმდინარე წლის პირველი სამი თვის მანძილზე რესპუბლიკის სახარბიელოდ განიხილა 592 დავა მიწოდების ვადის გადაცილებისა და პროდუქციისა და საქონლის მიუწოდებლობის გამო, დამრღვევებს 4 მილიონ მანეთზე მეტი გადაახდევინა. ყველაზე დიდი საჯარიმო სანქციები წარუდგინეს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს, რომლებიც მოპასუხეებები იყვნენ 114 საქმის გამო. ჯარიმამ 2 მილიონ 113 ათასი მანეთი შეადგინა. აგრომრეწვის საწარმოებმა გადაიხადეს 948 ათასი მანეთი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 841 ათასი მანეთი.

მიწოდების მტკიცე დისციპლინა მეურნეობრობის კანონია. მისი ფორმისა და შინაარსის ზუსტი დაცვა ყოველი შრომითი კოლექტივის, ყოველი სამეურნეო ხელმძღვანელის მოვალეობა და ვალდებულებაა. ამას მოითხოვს გარდაქმნა.

„ინდუსტრია“ ზვრებში

ბორჯომს სითხის დასამზადებელი მექანიზებული აუზი გადაეცა საექსპლოატაციოდ საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში.

ამ სიახლის დანერგვამდე ყველა ბრიგადას თავისი აუზი ჰქონდა და თითოეულ მთგანს ორ-ორი კაცი ემსახურებოდა. მექანიზებულ აუზს კი მხოლოდ სამი მუშა ემსახურებოდა. მუშაობა ეს ჯგუფი ნახევარ საათში ამზადებს 50 ტონა წამალს, რომლის ხარისხს იქვე მოწყობილი ლაბორატორია ამოწმებს. შედეგიც ეფექტიანია. სხვა სამუშაოებისათვის გამოთავისუფლდა 25 კვალიფიციური მეზვრე, 15-მდე ავტომობილი, დაჩქარდა შრომითი ციკლიც. თუ წინათ პირველ წამლობას 10 დღე სჭირდებოდა, ახლა იგივე სამუშაოს 5-6 დღეში ასრულებენ.

ეს სიახლე ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომელიც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის მზადების დღეებში დანერგეს საგარეჯოელმა მევენახეებმა.

„მას სავსებით ვენდობით“

არჩევნების შესახებ

თავის ამომრჩეველთა ათობით მისამართის დასახელება შეეძლოთ ალი გუჯაბიძეს. ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონული საბჭოს დეპუტატის რანგში მისი საქმიანობის ხუთი წლის მანძილზე ბევრი მოქალაქე მივიდა მასთან რჩევისა და დახმარებისათვის. დღეს თბილისის № 64 საშუალო სკოლაში ეწყობა დეპუტატობის კანდიდატთან შეხვედრა — კანდიდატად მორიგი ვადით კვლავ დაასახელეს **ალი გუჯაბიძე.** ყველა დარწმუნებულია, რომ მას უნარი შესწევს იმ პრობლემათა გადაჭრისა, რომელსაც იგი აწყდება ხალხის რჩეულის თანამდებობაზე. ამას მოწმობს ჩანაწერები დეპუტატის ჟურნალში. და სანამ ნდობით აღჭურვილი პირი — თბილისის № 10 ბავშვთა პოლიკლინიკის მედდა ეთერ ალანია დამწყრეთ უამბობდა მის ბიოგრაფიას, ჩვენ ვთხოვეთ იმათ, ვინც შეხვედრია ლ. გუჯაბიძეს, დაახასიათონ თავიანთი რჩეული:

გიორგი მარკანიძე: — მოხუცი კაცი ვარ. როცა პირველად ვნახე ალი, არცოუ ისე მჯეროდა მისი. ძალზე ახალგაზრდა მეჩვენა. მართალია, იგი მუშაობდა ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარ ექიმად, მაგრამ ჩემი საკითხი იოლი გადასაწყვეტი როდი იყო — შეიძლებოდა თუ არა ბინის მიღების დაჩქარება? ვისაუბრეთ, და ისე განვიწყვე მის მიმართ, რომ უბრალოდ ვერც კი შევნიშნე, თუ როგორ ვუამბე ლალის ყველაფერი ჩემი ცხოვრების შესახებ: ომზე, ოჯახზე, სამუშაოზე. დამპატიჟა, დაგეხმარებითო. და ეს მარჯვე, ფიცხი ახალგაზრდა ქალი იმდენს ზრუნავდა, რომ ბოლოს შედეგი კიდეც ჩემი დახმარება. აი, ზოგიერი. მინდა გამოვიდე და ვუთხრა ადამიანებს, რომ მას სავსებით ვენდობი.

ამ დღეს ეთერ თევდორაშვილიც გამოვიდა. იგი დაიღალა სხვადასხვა ინსტანციებში სიარულით, და ბოლოს დეპუტატს მიმართა: „მეტი აღარ შემიძლია. მართალია, მარტო ვარ, მაგრამ მეც ხომ მჭირდება ბინა“. აღმასკომს, მართალია, გაუპირდა, მაგრამ მაინც გამონახა შესაძლებლობა დაეკმაყოფილებინა დეპუტატის შუამდგომლობა.

რამდენიმე სტრიქონით შეიძლება გადმოვცეთ ლალი გუჯაბიძის ბიოგრაფია. სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა. შემდეგ სწავლობდა ინსტიტუტში, გათხოვდა, გაუჩნდა პირველი ბავშვი. ახლა მას სამი შვილი ჰყავს. უფროსი ახლახან დაბრუნდა არმიიდან, საშუალო სკოლას ამთავრებს, უმცროსი კი პიონერია. მაგრამ, დიდი ოჯახის მიუხედავად, ლალი ყოველთვის პოულობს დროს ადამიანებისათვის. აფასებენ მას. ერთი მხრივ — ტაქტი, მოთმინება, მოსმენისა და გაგების უნარი, მეორე მხრივ — მიზნის მიღწევისათვის თავგამოდება.

სხვადასხვა ადამიანები მიდიან გუჯაბიძესთან. და გაგიკვირდებათ, თუ რა იოლად ახერხებს იგი ყველასთან საერთო ენის გამონახვას. გავესაუბრეთ თამარ ხორბალაძეს:

— გუჯაბიძესთან მიღებაზე უკანასკნელი ვიყავი. გულახდილად რომ გითხრათ, ვიჯექი და ვბრაზდებოდი: ათი კაცი ეიყავით, იგი კი ყველას დიდხანს ესაუბრებოდა. კაბინეტში გაცხარებული შევედი. მაგრამ ლალიმ თანაგრძნობით მკითხა: „ალბათ, დაიღალეთ? უურადღებით გისმენთ“. დავშვიდდი და ვუამბე, რომ ვერაფრით ვერ მომიწყვია ბავშვი საბავშვო ბაღში. რამდენიმე დღის შემდეგ საკითხი დადებითად გადაწყდა.

ასე ახასიათებდნენ დეპუტატს. ორატორებმა განიხილეს კანდიდატის საქმიანი თვისებები. მხედველობაში ჰქონდათ, უწინარეს ყოვლისა, ის საქმე, რომლის შესრულებაც მას მოუწევს ხალხის რჩეულის როლში. და, თუმცა, ლ. გუჯაბიძე ყველას დახმარებას ვერ ახერხებს, მაგრამ თვით ისინიც, ვისი საკითხიც გადაწყვეტილი რჩება, მისგან მადლიერები მიდიან.

ანზორ დონაძე: — მე ლალი გუჯაბიძემ უარი მითხრა. მისგან, მართალია, უარყოფითი, მაგრამ საკმაოდ კეთილმოსურნე, დასაბუთებული პასუხი მივიღე. აღმოჩნდა, რომ თვით უარიც კი არ იწვევს წყენას, თუ მას გეუბნება ტაქტიანი, შენი ბედით გულსტკივნეულად დაინტერესებული ადამიანი.

ლ. გუჯაბიძე ყველა გამოსვლას ყურადღებით ისმენს, ინიშნავს წინადადებებს, თხოვნას. მაგალითად, ბუდაპეშტის ქუჩაზე ცხოვრებ მუზაშვილების ოჯახს სჭირდება საცხოვრებელი ბინის გაფართოება, პენსიონერი ა. შავლოხოვა კი შუამდგომლობას ითხოვს სახლმმართველობაში საბავშვო კლუბისათვის გამოყოფილი შენობის რემონტის დასაჩქარებლად. რას იზამ, ახალი საზრუნავი, ახალი პრობლემები, მაგრამ ნდობა გაკეთებს.

ედი ჭამიერაშვილი,
საქინფორმის კორ.

თათბირობენ მეკარტოფილეები

შარშანდელზე ორი კვირით გვიან დაიწყება საადრეო კარტოფილის მასობრივი აღება ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მეურნეობებში, რომლებიც საკავშირო ფონდში საადრეო კარტოფილის წამყვანი მიმწოდებლები არიან. გაქანურებულმა გაზაფხულმა, ძლიერმა სუსხმა, ქარმა და სეტყვამ მუშაობა გაურთულა მეკარტოფილეებს. 11 ივნისს ისინი შეიკრიბნენ მარნეულში გამართულ თათბირზე, რათა განეხილათ და დაესახათ თავიანთი პროდუქციის შემჩეიდროებელი ვადები და უდანაკარგოდ დამზადებისა და გაგზავნის გზები.

თათბირში მონაწილეობდნენ რაიონების, აგროსამრეწველო გაერთიანებების პარტიული და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და სპეციალისტები, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და ამიერკავკასიის რკინიგზის წარმომადგენლები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ჭითანავა.

საგნობრივი და დაინტერესებული სხა-ბაასი გაიმართა საადრეო კარტოფილის მოსავლის აღების დაწყებისათვის მეურნეობათა მზადყოფნის დონის ამაღლების, აგროსამრეწველო და სატრანსპორტო კონვეიერების შეთანხმებული მოქმედების გაუმჯობესების შესახებ. კარტოფილის აღება 20 ივნისს დაიწყება, მომდევნო დღიდან კი ბოლნისელებმა და მარნეულელებმა ორას-ორასი ტონა კარტოფილი უნდა გაგზავნონ მოსკოვსა და ქვეყნის სხვა ქალაქები. ამის გარდა, მეურნეობებმა უნდა უზრუნველყონ საადრეო კარტოფილის გაყიდვა თბილისში და რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრებში სახელშეკრულებო ფასებით დაგეგმილი მოსავლის მესამედის ანგარიშში. მოსავალს კი კარგი პირი უჩანს. მარტო მარნეულის რაიონში აიღებენ სულ ცოტა 22 ათას ტონა კარტოფილს.

თათბირის მონაწილეებმა შეთანხმეს თავიანთი მოქმედება მოსავლის მაქსიმალური დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისათვის. კარტოფილის გადასაზიდად, ერთ ძოდ, გამოყოფილია 10 ათასზე მეტი ავტორეფრიჟერატორი, მნიშვნელოვანი რაოდენობის რკინიგზის ვაგონ-მაცივარი. თათბირზე ოპერატიულად გადაწყდა აგრეთვე კარტოფილის მოსავლის აღების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები, რისთვისაც გამოყოფილია დამატებითი ტრანსპორტები, ფოსჩაჭრელები, საწვავ-სათბობი მასალები

დაჩქარების სტრატეგია

საჯაროობა შვრება თავისას

წარმოების ეფექტიანობის გაზრდა, ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საწარმოო ხიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, კადრების დენადობის შემცირება, დემოკრატიის განმტკიცება, ხარისხის გაუმჯობესება — ეს ის საკითხებია, რომელთა წარმატებით გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია გარდაქმნის პროცესის დაჩქარება. ამ საკითხებზე ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი ნ. ლურსმანაშვილი თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ვ. გოგუაძეს.

— —

— როგორია მდგომარეობა თქვენს საწარმოში მიმდინარე წელს. იგრძნობა თუ არა გარდაქმნა?

— მიმდინარე წელი ჩვენმა კოლექტივმა ურიგოდ არ დაიწყო. პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით შესრულდა სასაქონლო პროდუქციის მიწოდების ვალდებულება, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, შრომის პირობები, განმტკიცდა საწარმოო დისციპლინა, გაიზარდა პასუხისმგებლობა.

იმის თქმა, რომ ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში გარდაქმნა არ იგრძნობა, არ შეიძლება, თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ყველაფერი რიგზე იყოს, რომ ყველამ, დამხმარე მუშით დაწყებული და ქარხნის ხელმძღვანელობით დამთავრებული, უკვე ძირფესვიანად გარდაქმნა მუშაობა. გარდაქმნა გვავალებს პასუხისმგებლობის გაძლიერებას. ჩვენი საწარმოს კოლექტივი კი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე დგას. მე მხედველობაში მაქვს ის, რომ, ჯერ ერთი, ქარხნის გაჭიანურებული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს წარმოების ზრდის პირობებში, და, მეორეც — კიდევ უფრო მნიშვნელოვანი — წლეულს 1 იანვრიდან ჩვენი ძირითადი შემკვეთი 10-მდე საწარმო პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადავიდა.

გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იდეოლოგიური შუშაობის სრულყოფას. ამაზე, როგორც ცნობილია, უურადღება გამახვილდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის აპრილის პლენუმზე. ახლა ყველა კოლექტივის წინაშე ახლებურად მუშაობის კონკრეტული ამოცანები დგას. მათი გადაწყვეტა რომ შევძლოთ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა აზროვნება და ფსიქიკა უნდა გარდავქმნათ, — ეს ათასჯერ თქმული და დამტკიცებული ჭეშმარიტებაა. ამ საკითხის გადასაწყვეტად კი გონივრულად გამიზნულ თვალსაჩინოებას ცოტა როლი როდი განეკუთვნება. როდესაც მუშა-მოსამსახურეთა აზრი შევისწავლეთ, თვალნათლივ დავინახეთ ჩვენი მუშაობის ხარვეზები აღნიშნული მიმართულებით. სწორედ ამან განაპირობა, რომ შევქმენით თვალსაჩინო აგიტაციის მდგომარეობის შესწავლისა და განახლების სპეციალური ჯგუფი, რომელიც თვალსაჩინოების მთლიანად გადახალისებას შეუდგა. მხედველობაში ვიღებთ სამუშაო ადგილის კონკრეტულ ატმოსფეროს, მუშა-მოსამსახურეთა თავისებურებას და უფროსზუსტი, მიზანმიმართული ხდება ყოველი ლოზუნგი, პლაკატი თუ სტენდი.

გულისტკივილით უნდა ვაღიარო ოთ, რომ ჯერ კიდევ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე გეგმა-ვალდებულებათა შესრულებისა და დისციპლინის განმტკიცების იდეოლოგიური უზრუნველყოფა. გარდა სხვა მიზეზებისა, სწორედ იდეოლოგიურ მუშაობაში არსებული ხარვეზების გამო მოიკოჭლებს შრომის დისციპლინა. მართალია, ყველაზე რთული და ძნელად გადასაწყვეტი საკითხი სწორედ ადამიანის ფსიქიკის გარდაქმნაა, მაგრამ ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ სხვაგვარად შეუძლებელია კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოწყობილი გამოკითხვის შედეგების ანალიზმა დაგვანახვა, რომ ჩვენი თანამშრომლების უმრავლესობა იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფისა და ადამიანის ფაქტორის გააქტიურების აუცილებელ პირობად მიიჩნევს საჯაროობის გაუმჯობესებას. სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ გვეგონა, ეს საკითხი საწარმოში კარგად გვქონდა მოგვარებული. მაგრამ, როდესაც ღრმად ჩაუკვირდით საქმეს, დავინახეთ, რომ როგორც ზემდგომი ორგანოების, ისე ჩვენი საწარმოს ხელმძღვანელობის დადგენილებები და მოთხოვნები ვერ აღწევდა თითოეულ მშრომელამდე. ახლა კი საჯაროობის გასაუმჯობესებლად შევქმენით ახალი რუბრიკები: „დისციპლინას — ჩვენი გარანტია“, „ხარისხის გაუმჯობესება თითოეულის მოქალაქეობრივი ვალია“, „ჩვენი კონსულტაცია“ და სხვ.

— ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის შემკვეთი 10 საწარმო უკვე გადავიდა პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე და ეს თქვენც ბევრს გავალებთ. ისიც ფაქტია, რომ არაერთი ხარვეზი შემოხულა თქვენი საწარმოს მისამართით — უხარისხო სხმულს გვაწვდიან. გარდაქმნა ხომ უცილობლად გულისხმობს ხარისხის გაუმჯობესებასაც... გარდა ამისა, მომავალი წლიდან თქვენი ქარხანაც ხომ ახლებურად იმუშავებს?

— ხარისხის გაუმჯობესება ჩვენთვის, მართალაც რომ, პრინციპული საკითხია. გარდაქმნის ტემპის დაჩქარებისათვის ბევრი საკითხია მოსაგვარებელი, მაგრამ მათ შორის ყველაზე მასშტაბური სხმულის ხარისხის გაუმჯობესებაა. ამ მიმართულებით არცთუ ისე ცოტა სამუშაო შევასრულეთ უკანასკნელ ხანს. გადავამზადეთ ტექნიკური კონტროლის მუშაკები. შევიმუშავეთ მათი შრომის ანაზღაურების ახალი დებულება.

უფრო მკაცრი კონტროლი დაუწესდა შემოტანილი ტექნოლოგიური მასალების ხარისხს. წუნისმკეთებელთა მიმართ ვიღებთ სათანადო ადმინისტრაციულ ზომებს — მიმდინარე წელს მატერიალურად დავსჯეთ 31 მშრომელი, ადმინისტრაციული სასჯელი დაედო 11 კაცს, ხოლო დნობის ტექნოლოგიური პროცესის სისტემატური დარღვევისათვის ორი ოსტატი დავაქვეითეთ. ამას რომ გეუბნებით, მეუხერხულება კიდეც, დასჯა თავისთავად არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ დღეს საშემსრულებლო დისციპლინის დამრღვევებისადმი მკაცრი მიდგომა აუცილებელია.

საწარმოში შევცვალეთ და გავაუმჯობესეთ სხმულების დამზადების ტექნოლოგია. შევცვალეთ და კვლავ განვაახლებთ მოძველებულ მოწყობილობას ზოგიერთ საამქროში. თითოეული მშრომელისთვის გამოვუშვით სპეციალური „სამახსოვრო“, „პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასასვლელად ქარხნის მზადებისათვის აუცილებელი სამუშაოების განხორციელების შესახებ“.

თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანასთან ერთად დავიწყეთ 5 სახეობის საბაზისო დეტალების პირველადი მექანიკური დამუშავება (ამ სამუშაოს წლის დამლევისათვის ავითვისებთ), რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს სხმულების გარეგნულ სახეს და შეამცირებს წუნს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენთან უკვე ფიზიკოინერეს სპეციალური ლაბორატორია, სადაც მეცნიერებთან ერთად ვატარებთ ცდებს. ფოლადის სხმულის ხარისხის გაუმჯობესებლად ხელშეკრულება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის კათედრასთანაც გავაფორმეთ. ყველა ეს ღონისძიება დაგვეხმარა შეგვემცირებინა წუნის პროცენტი 2 პუნქტითა და წუნისმიერი დანაკარგები — 20 პროცენტით.

თუმცა, მიუხედავად ყველა ამ ღონისძიებისა, ხარვეზი ისევ ბევრია. ერთ-ერთი უმთავრესია მათ შორის ტექნოლოგიური პროცესის დარღვევა. სრულყოფილი არ არის კონტროლი, არც კადრების მომზადების დონეა სათანადო სიმაღლეზე.

უკანასკნელ ხანს დავნერგეთ ასეთი პრაქტიკა — რეგულარულად ვისმენთ საამქროსა თუ უბნის უფროსების ანგარიშებს ხარისხის გაუმჯობესებისა და მიწოდების გეგმათა შესრულების თაობაზე, პრინციპულად ვიფასებთ მათს მოღვაწეობას და ვიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება წარმოების ეფექტიანობის ზრდის მთავარი ბერკეტია და ეს საკითხიც იმ უარღვევი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, რომელსაც დაჩქარების სტრატეგია გულისხმობს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენს საწარმოში?

—ეს დროის მოთხოვნაა—ფართო გზა მივცეთ მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას, ე. ი. მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შედგომ ზრდას, სრულყოთ არსებული ტექნიკური საშუალებების მაქსიმალური გამოყენება, ყოველივე ამის ხარჯზე მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება საწარმოო სიმძლავრეების ათვისებას, ამ მხრივ

გული ქართლისა... ბარაჟა, ულევი ზვრება, უხვმოსავლიანი ხეხილის ბაღები, ზაფხულს შეგებებული ჯეჯილის, ბოსტნეულის, სიმინდის მინდორ-ყანები, გამრჯე კაცის მარჯვენით ლაზათიანად რომ არის დამუშავებული. საქმეებითა და აზრებით დატვირთული, შრომას შეზრდილი ადამიანები... ასეთია ძველი — გორის რაიონის ლამაზ სოფლთა შორის თავის მიმზიდველობის ანდამატითა და ამოუცნობი მომხიბლაობით.

მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის თავკაცის ვალერი სუხიშვილის სამუშაო ოთახში ცხოველი სჯა-ბაასი მიდიოდა. სპეციალისტები, აგროუბნების მმართველები ამ დღეს გაწეული მუშაობის ანგარიშს აბარებდნენ, სახვალიო საკითხებზე ბჭობდნენ.

— ჩვენი კოლექტივი, — თქვა ვ. სუხიშვილმა, — ერთსულოვნად იბრძვის სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი იანვრის პლენუმზე მიღებული მასშტაბური გადაწყვეტილებების შესრულებისა და სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. თავდადებული შრომის ნათელი დასტურია მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედების დავალებათა გადაჭარბებით შესრულება, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება, რისთვისაც ჩვენი კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა. ჯილდომ გაგვახარა. ახალი შემართებით დავიწყეთ ბრძოლა ხუთწლედის მეორე წლის ვალდებულებათა შესასრულებლად;

მართვის ახალმა სისტემამ, რომელიც აქ წარმატებით ხორციელდება, კიდევ მეტად გამოავლინა არსებული რეზერვები. მკვეთრად გაზარდა თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, გააძლიერა ინტერესი შრომის საბოლოო შედეგებისათვის.

საგრძნობლად განმტკიცდა მეურნეობის საფინანსო მდგომარეობა. შარშან 2.284 ათასი მანეთის ნაცვლად 3.884 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღეს. წმინდა მოგება 606 ათასი მანეთი, ანუ გეგმასთან შედარებით 189 ათასით, ხოლო წინა წელთან შედარებით — 93 ათასი მანეთით მეტია. შესაბამისად გაიზარდა რენტაბელობის მაჩვენებელიც.

არსებითი ხასიათის გარდაქმნები მოხდა საკადრო პოლიტიკის განახლების, წარმოების ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება-სრულყოფის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მეურნეობის დარგობრივი ინტენსიფიკაციისა და სხვა სფეროებში. ფერმების 80 პროცენტი მექანიზებულია. დანერგილია ელექტრო-მექანიკური წველა, დარწყულება, ნაკელის გატანა, დასუფთავება, საკვების შემზადება-დარიგების პროცესები. აშენდა 3-ათასტონიანი ხილის მაცივარსაცავი, იგი აღჭურვილია დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ხილის დამკალიბრებელი მექანიზმებით. ხილი მეურნეობაში კონტეინერული წესით იკრიფება. ამისათვის ფართოდ გამოიყენება ხოლმე „ვუგ-3“ ტიპის მანქანები. მექანიზაციის დანერგვამ გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და მკვეთრად შეამჟიდროვა მოსავლის კრეფის აგროვადები.

მეურნეობის საერთო წარმატებაში, რომელმაც უზრუნველყო საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვება, გადამწყვეტი როლი შეასრულეს გამრჯე ძველრელებმა, კომუნისტებმა, სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა. მიღწეული თავისთავად როდი მოდის. იგი შესაძლებელი გახდა საქმისადმი მშრომელთა ერთსულოვანი დარაზმვით, რომელსაც ასე მოუღლელად, საქმის ცოდნით ორგანიზატორობს სოფლის მეურნეობის ნიჭიერი მუშაკი ვალერი სუხიშვილი, კაცი, რომელსაც ხელეწიფება ახლებურ მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობა.

წარმატებას ვერ მიაღწევ შიშველი ადმინისტრირებით, საჭიროა შრომითის კოლექტივებთან, რგიონ ადამიანებთან სრული თანადგომა, მათი ცხოვრებით ცხოვრება, პიროვნული მაგალითის ძალით გლეხკაცის დარწმუნება და ადამიანთა საჭიროებებზე განუწყვეტელი ზრუნვა. ასე სწამს, ასე სჯერა

რეპორტაჟი საკავშირო დროშის მფლობელი ბრ. ურნეოზნიდან

ურნეოზნიდან ნუნუ ბოლოკაძის

გარდაქმნის სტაბილური ტემპი

ფორმები, როგორიცაა შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოება, ფულადი პრემიები, თანამედროვე წარმოებისა, მთავრობის ჯილდოებსა და წოდებებზე წარდგენა. მარტო შარშან ხილის ხარისხიანი კრეფის, სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში და კარგად შესრულებისათვის მეურნეობის კოლექტივზე პრემიად გაიცა 49 ათასი მანეთი.

საკადრო პოლიტიკა მეურნეობის თავკაცის მთელი საქმიანობის ქვაკუთხედია. წინა პლანზეა წამოწეული კადრებთან მუშაობის, მათი შერჩევის, აღზრდისა და სამუშაო უბნებზე სწორად განაწილების საკითხები. ხორციელდება მუშაკთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები. მეურნეობაში 22 უმაღლესი განათლების და 26 საშუალო სპეციალური განათლების მუშაკია, რომლებთანაც ყოველთვის მჭიდრო კონტაქტი აქვს მეურნეობის ხელმძღვანელს, პირადი მაგალითით აღწმუნებს, რომ დღეს აქტიური მოქმედებაა საჭირო. ამასთან ეურდნობა მათს კოლექტიურ გამოცდილებას, სჯერა მათი ინიციატივისა და პრაქტიკული მხარდაჭერისა.

და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ პოულობს იგი სულ უფრო მეტ თანამზრახველს, აზრისა და საქმის თანამოსაგრეებს, ასე შეუმჩნეველად ყალიბდებიან მის გვერდით საქმეს შეჯიდებულნი რაიონში და რესპუბლიკაში სახელგანთქმულ ადამიანებად.

მეურნეობის მთავარი აგრონომის ლ. შატაკიშვილის, მთავარი ვეტექიმის მ. მაისურაძის, დარგის აგრონომის გ. ჯავახიშვილის, მექანიკური სახელოსნოს გამგის უ. ჩიტაიშვილის, მეორე, მეხუთე, მეექვსე, მერვე, მეცხრე, აგრეთვე მეცხოველეობის ბრიგადის ხელმძღვანელების ვ. ლაფაჩის, მ. ინასარიძის, გ. შავერდაშვილის, გ. ბუხრაძის, ა. კეჩხუაშვილის, ნ. მაკრახიძის, ზ. გარსევანშვილის, ბ. კეჩხუაშვილის, პ. ეგოროვის, ც. და ბ. ინაურების სახელებთან განუყრელად არის დაკავშირებული მეურნეობის შთამბეჭდავი წარმატებები, ხოლო მესამე ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი ე. წიქირიძე და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რგითი მუშა შ. ლაფაჩი ხომ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ადამიანთა რიგებში არიან.

მეურნეობის ყველა მოწინავეს

რეპორტაჟი საკავშირო დროშის მფლობელი ბრ. ურნეოზნიდან ნუნუ ბოლოკაძის

გარდაქმნის სტაბილური ტემპი

აქ ვერ ჩამოვთვლით, ბევრნი არიან.

მეურნეობაში ყოველი სიახლე კაბინეტის რბილ საგარძელში კი არა, უშუალოდ სამუშაო პოლიგონზე იბადება; სიახლეთა დანერგვის ჭეშმარიტება და საფუძვლიანობა სათავეს იღებს შრომითი კოლექტივების, დარგის სპეციალისტების პრაქტიკული დაწყმუნების, ღრმა დამაჯერებლობის, უაღრესად კონკრეტული, ნათელი მაგალითების, ხელშესახები ფაქტების წიაღში; მაგალითად, იჯარული ფორმის სიკეთეს მეურნეობის ზოგიერთი სპეციალისტი თავიდანვე ნდობით როდი მოეკიდა. მას კვრძომესაკუთრულ ამბიციადაც ნათლავდნენ. ასეთი აზროვნება მხოლოდ მაშინ გაქრა, როცა პრაქტიკულად, ცხოვრებისეულად დამტკიცდა იჯარული შრომის სიკეთე.

ახლა მეურნეობაში ეჭვი აღარავის ეპარება, რომ საიჯარო ბრიგადა სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულების საქმეში ერთ-ერთი ძირითადი რგოლია და საჭიროა მისი შემდგომი სრულყოფის გზების ძიება, მართვის სტილის, შრომის ნოვატორული ფორმების შერწყმა გარდაქმნის ინტერესების შესაბამისად. იმიტომაც არის, რომ მეურნეობის ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრშია ძიების, კადრების ეკონომიკური აზროვნების, მათი პირადი ინიციატივის, პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების პრობლემები.

ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მუშაობენ მეურნეობის შტაბი, მართვის შუალედური რგოლი, თითოეული სპეციალისტი, სხვადასხვა სამსახურები, დირექცია ცდილობს გაათავისუფლოს ისინი წვრილმანი მეურვეობისაგან, აძლევს თავისუფალი მანევრირების საშუალებას, საწარმოო საკითხების რეალური გადაწყვეტის უფლებებს. ამასთან თითოეულს მოეთხოვება პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილ კონკრეტულ უბანზე არსებული მდგომარეობისა და საბოლოო შედეგებისათვის.

ძველრელ ხელმძღვანელებს, აქაურ აქტივს არც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითადი მიმართულებებით ნაკარნახევი პრობლემები რჩებათ უყურადღებოდ.

— სკოლის მოსწავლეები, განსაკუთრებით უფროსკლასელები, ჩვენი თანაშემწენი არიან, — სიამაყით ამბობს ვალერი სუხიშვილი, — მათ შრომას ვაჩვევთ და ისინიც ნდობას გვიმართლებენ. არც ჩვენ ვრჩებით ვალში. მინიმეურნეობას გამოვუყავით 50 ჰექტარი მიწის სავარგული. აქედან 45 ჰექტარი ბაღია. ავუშენეთ ადმინისტრაციული შენობა, სადაც არის კეთილმოწყობილი სალტურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, მანქანამცოდნეობის, კულინარიისა და თეორიული სწავლებისათვის განკუთვნილი კაბინეტები. აქვეა აბანო, ინვენტარის შესანახი სათავსები, სამეურნეო ეზო. მოსწავლეებს უფასოდ კვებავენ. დადგება დრო და, ბევრი სკოლადამთავრებული მეურნეობას მოაშურებს, ჩვენც დიდი თანაგრძნობითა და სიხარულით შეგებებით მათ.

ზოფხული მობრძანდა ძველრაში. გამარჯვებული მეურნეობის გამარჯვებული მუშები საიუბილეო წლის უხვი მოსავლისათვის იბრძვიან.

ვ. შაქარაშვილი.
გორის რაიონი.

ნახევარი წლის

დავალება — არჩევნებისათვის

ხუთწლედის ორი წლის დავალება — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის, ასეთი დევიზით შრომობს სამტრედიის ამრეშუმსახვევი ფაბრიკის კოლექტივი. ვალდებულებანი წარმატებით სრულდება. საწარმოს მშრომელებმა უკვე გამოუშვეს 200 ათას მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

საწარმოს მრავალმა მუშაკმა ვალდებულება იკისრა ნახევარი წლის დავალება 21 ივნისისათვის — ადგილობრივი საბჭოს არჩევნების დღისათვის შეასრულოს.

▼ ▼

სურათებზე: სოციალისტური შეჯიბრების მეწინავე მგრეხელი მზეონა შუბლაძე; საგრეხი საამქროს საერთო ხედი.

გ. სამსონიასა და ბ. შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ლიმონმა აღმოსავლეთშიც იხარა

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

ცნობილია, რომ ლიმონს ციტრუსოვანთა შორის თავისი განსაკუთრებული სამკურნალო თვისებებით უპირველესი ადგილი უკავია. იგი, სადაც კი საჭირო პირობებს შეეუქმნით, ყველგან ბარაქიან მოსავალს იძლევა და უხვად ანაზღაურებს გაწეულ შრომასა თუ ხარჯებს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს ლიმონის მოყვანას. დასახულია, 1990 წლამდე ლიმონის წარმოება ათი ათას ტონამდე გაიზარდოს. თუ სუბტროპიკული რაიონების მიწის რეზერვებს გავითვალისწინებთ, ეს არც ისე ცოტაა. ამიტომ ლიმონის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის საჭიროა მოწინავე მეთოდებისა და ხერხების ფართოდ გამოყენება, ახალი საშუალებების გამონახვა. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება კიდევაც. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შექმნილია კომპლექსური კვლევის ლაბორატორია, რომელსაც პროფესორი ბიძინა სარჯველაძე ხელმძღვანელობს. აქ სწავლობენ სხვადასხვა ტიპის ლიმონარიუმებში ლიმონის მოყვანის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხებს.

ლიმონის წარმოების მკვეთრად გადიდებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულონ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებმა. ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე ციტრუსების გაშენების სახელმწიფო საცდელმა მეურნეობამ დაიწყო მუშაობა. მას სათავეში ედგა ამ საქმის დიდი ენთუზიასტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი იაკინთე ჯანტურია. აწ განსვენებულ მეცნიერს მეზობლებთან მიჰქონდა ხოლმე ლიმონის ნერგები და თვითონ უწევდა კონსულტაციას, როგორ მოეშენებინათ იგი ოთახის პირობებში და პირად მეურნეობებში.

ღია გრუნტში ციტრუსების მოშენების საჭირო კლიმატური პირობები ლაგოდეხში არ აღმოჩნდა, მაგრამ გამოტანილია სასარგებლო დასკვნები: ციტრუსების და, კერძოდ, ლიმონის გაშენება ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონების პირობებში შეიძლება ტრანშეიებისა და ნახევრად ტრანშეიების ტიპის ლიმონარიუმებში. შემდგომში ლიმონის უხვად მოყვანა რატომღაც მიიჩნეყეს. დღეისათვის მდგომარეობა შეცვლილია. დასახელებული ორივე რაიონის ხელმძღვანელების მონდომებით მიღწეულია დამაამეცდენელი შედეგები. ეს კი გვაფიქრებინებს, ამ ნერგებს მიეღწევია სრულ მოსავლიანობამდე, მაგრამ ნარგავები უკვე მესამე წელია ნაყოფს იძლევიან. მეურნეობა-ქარხნის მშრომელებმა მარტო წლევანდელ საახალწლო ბაზრობაზე ერთი ტონა ოქროსფერი ნაყოფი გამოუგზავნეს თბილისელებს, სულ კი 1986 წელს ორი ტონა ლიმონის. მოსავალი მიიღეს.

კარგ შედეგებს მიაღწიეს ყვარლის რაიონის ეთერზეთების მეურნეობა-ქარხნის მშრომელებმა. მათაც გერანის მოძველებული, ყველგასული ორანჟერეები ლიმონარიუმებად გადააკეთეს. ორი ათასამდე ძირი ლიმონი გაახარეს და მეორე წელია ნაყოფს იღებენ ზეგეგმით.

ლიმონარიუმებში ლიმონის მოშენების კარგი შესაძლებლობები აქვთ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებსაც. ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში გამოიყენეს ბუნებრივი, ტრანშეისებური ფარდობი და 4,5 ჰექტარზე გაშენეს ლანდშაფტური ლიმონარიუმი. ყველას გასახარად მწვანედ ახასხასდა ლიმონის ნარგავები, მაგრამ, დადგა ზამთარი, სახურავზე ნალექები დაგროვდა, ნაგებობამ სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და ჩამოწვა. ამის გამო ბევრმა ხელი ჩაიქნია და ყველაფერი დაკარგულად ჩათვალა, თუმცა ზოგს მიაჩნია, რომ მომხდარი მარცხის გამო ამ წამოწყებაზე ხელი არ უნდა ჩაიქნიათ.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საქართველოში სამ-ოთხ წელიწადში ლიმონის წარმოების მკვეთრ გადიდებას მივაღწიოთ. საამისოდ მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ის საშუალებები და რესურსები, რომლებიც ჩვენს ხელთ არის. ადგილმდებარეობის მიხედვით ფართოდ უნდა დაინერგოს მიწისზედა, ტრანშეისა და ნახევრად ტრანშეის ტიპის ლიმონარიუმების მშენებლობა. არც სპეციალური გათბობის მქონე ლიმონარიუმების მშენებლობაზე შეიძლება ხელაღებით უარის თქმა, მით უმეტეს, თუ მათი მშენებლობა შედარებით ნაკლებ დანახარჯებს საჭიროებს. ამ თვალსაზრისით დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია თერმულ წყლებს, რომლებითაც მდიდარია განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობი.

სახელმწიფო სათანადო ხარჯებს იღებს როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად მეურნეობებში კოოპერირების წესით ლიმონარიუმების მშენებლობისათვის. ვინც ამ საქმეს მოჰკიდებს ხელს, იგი უზრუნველყოფილი იქნება საშენი მასალებით, ნერგებითა და მათი გახარებისათვის საჭირო კვალიფიციური ზედამხედველობით.

რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებმა პროპაგანდა უნდა გაუწიონ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ საქმეს არასებუროპიკული რაიონების ხელმძღვანელები, რათა ლიმონმა საქართველოს ყველა კუთხე-მხარეში დაიდოს ბინა.

მ. შუბითიძე,
საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის პრესცენტრის მთავარი რედაქტორი.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ ● „კომუნისტს“ უპასუხებენ

მუშათა სასადილოს მეტი კონტროლი

მუშათა სასადილოების ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენი გაზეთის 14 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი წერილი „არც აქტისა სჯერათ, არც ფაქტისა“. ამის გამო ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ო. რობაქიძე რედაქციას სწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო კომისიამ.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ სპეციალურად შედგენილმა სამუშაო ჯგუფმა ერთხელ კიდევ შეამოწმა ქარხანა „ავანგარდის“ და საავტომობილო ქარხნის სასადილოებში არსებული მდგომარეობა, მთლიანად დადასტურდა გაზეთში მოყვანილი შენიშვნები. შემოწმდა აგრეთვე აღნიშნული ქარხნების მომსახურე სხვა სავაჭრო ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა. ქარხანა „ავანგარდში“ განხორციელდა ორგანიზაციული ღონისძიებები, რის შედეგადაც მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

საავტომობილო ქარხნის № 8 სასადილოში ობიექტის ექსპლოატაცია შეწყვეტილია და მიმდინარეობს კაპიტალური შეკეთება და რეკონსტრუქცია, ამავე ქარხნის № 280 სასადილოში აპრილში დაიწყო შეკეთებითი სამუშაოები.

დავალების შესაბამისად საავტომობილო ქარხნის ადმინისტრაციამ განსაზღვრა ქარხნის ყველა სასადილოს შეკეთებითი სამუშაოების ნუსხა, რომელიც უკვე მოქმედებს და ითვალისწინებს წლის ბოლომდე ყველა ობიექტის საფუძველიან მოწესრიგებას.

საქალაქო საბჭოს ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის სხდომაზე განიხილეს მთლიანად ქალაქში არსებული მუშათა სასადილოების ჭესელის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ხუთწლედის ღონისძიებათა გეგმის რეალიზაციის მიმდინარეობის მდგომარეობა. კონკრეტული მითითებები მიეცათ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რათა განსაკუთრებული კონტროლი დაწესონ მუშათა სასადილოების როგორც კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ასევე მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხებს.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი თავის სხდომაზე პერიოდულად განიხილავს როგორც მუშათა სასადილოების, ასევე საერთო სარგებლობის ჭესელში არსებულ მდგომარეობას.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს „ცენტრმეტალურგრემონტის“ ტრესტის ზესტაფონის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივი. ეს საწარმო ყოველწლიურად საკუთარი ძალებით დაახლოებით 13 მილიონი მანეთის სამუშაოებს ასრულებს.

მეთორმეტე ხუთწლედის დამლევს სამმართველოში მიზნად დაისახეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმოების ნარჩენებისაგან, კერძოდ, სილიკომანგანუმის გრანულირებული წილის მექანიკური დამუშავების შედეგად, კერთან ერთად წვრილმარცლოვანი საკედლე მასალა, ბლოკი და აგური მიეღოთ. საცდელ-ლაბორატორიული სამუშაოების მრავალჯერადი ციკლის შესრულების შედეგად საქართველოს სსრ საშენ მასალათა კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებთან თანამეგობრობით

ბარდბანი. (საკ. კორ.). გარდაბნის მებოსტნეოჩას საცდელი სადგური გასული საუკუნის 90-იან წლებში დაარსდა და ხანგრძლივი დროის მანძილზე ბევრი საშვილიშვილო საქმე გაკეთა.

სადგური ძირითადად აწარმოებს ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ელიტურ და სუპერელიტურ თესლებს და ამარაგებს მებოსტნეობის მეურნეობებს. ამავე დროს კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქ გამოჰყავთ ამ კულტურების ახალი ჯიშები, აღადგენენ ძველ, წარსულში ცნობილ ქართულ ჯიშებს.

მაგალითად, აქ არის გამოყვანილი ბადრიჯნის ჯიშები „გარდაბნული“ და „ონი“, რომლებიც გამორჩეულია საუკეთესო ნაყოფით და უხვი მოსავლიანობით. აქ აღადგინეს ხახვის უძველესი ჯიში „კახური ბრტყელი“. ეს ჯიში აქა-იქ მხოლოდ კახეთში, მოსახლეობაში იყო შემორჩენილი. სადგურის მეცნიერმა მუშაკებმა

ინტერპოლი

ფაქტები • მოვლენები

სასარგებლო მოგზაურობა

ამერიკელი მოსწავლეები სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ

ვაშინგტონი. ომ დღეების მანძილზე, რომლებიც სსრ კავშირში გავატარე, უფრო მეტი შევიტყვე, ვიდრე სკოლაში სწავლის წლებში, — თქვა ბალტიმორელმა მოსწავლემ დასტინ პოსხმა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე თექვსმეტი წლის დასტინი 48 ამერიკელი მოზარდისაგან შემდგარი ჯგუფის შემადგენლობაში მონაწილეობდა უჩვეული ექსპერიმენტში — თითქმის სამი კვირის მანძილზე ისინი სწავლობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის სკოლებში, მეცადინეობდნენ ჩვეულებრივი პროგრამით საბჭოთა თანატოლებთან ერთად.

„ამ ვიზიტის გამოცდილება არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ ჩემთვისაც, როგორც პედაგოგისათვის, ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, — უთხრა საკადესის კორესპონდენტს მასწავლებელმა კატრინ დანმა, რომელიც მონაწილეობდა ამ მოგზაურობის ორგანიზაციაში. — ყოველწლიურად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლეთა გაცვლის ასეთი პროგრამები. ასეთი მოგზაურობების დროს შეძენილი ინფორმაცია ახალგაზრდებს შემდგომ ცხოვრებაში გამოადგებათ. ისინი ისწავლიან უკეთ გაუგონ სხვა ხალხებს. გაიგებენ, რომ სხვა ქვეყნების მოზარდებს ბევრი რამ აქვთ საერთო მათს ინტერესებთან და პრობლემებთან. ეს ურთიერთგაგება დაეხმარება მათ სწორი გადაწყვეტილება მიიღონ მომავალში“.

ამერიკელი მოსწავლეები ესწრებოდნენ რუსული ენის, სსრ კავშირის ისტორიის, გეოგრაფიისა და ფიზკულტურის გაკვეთილებს. და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მათ აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოთა მოზარდებთან სკოლაში და მეცადინეობის შემდეგ.

ვირჯინიის შტატის ქალაქ რესტონის მოსწავლეს ბეკი ტოტს მოეწონა სსრ კავშირის სასკოლო პროგრამა. მისი აზრით, „იგი უფრო გონივრულად არის შედგენილი“, ვიდრე ამერიკის სკოლების პროგრამა. ბეკიზე შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა მოსწავლეთა დამოუკიდებელმა მსჯელობამაც. თუმცა, ამავე დროს, როგორც მან აღიარა, მასწავლებლები მას „გულცივები“ მოეჩვენა.

ამერიკელმა მოზარდებმა გულთბილად გაიხსენეს თავიანთი საბჭოთა მეგობრები. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ბავშვებისათვის დამახასიათებელმა პატრიოტიზმმა და სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობამ.

დასტინ პოსხმაც და ბეკი ტოტმაც თქვეს, რომ მათ უნდათ კვლავ ჩამოვიდნენ სსსრ-ში, ოღონდ უფრო ხანგრძლივი ვადით.

● ავღანეთი

ღვოლვილთა დაბრუნება

ქაბული. კიდევ 285 ავღანელი ლტოლვილი დაბრუნდა გუშინ პაკისტანიდან ბაგლანის პროვინციაში. სახალხო წარმომადგენელთა პროვინციულმა საბჭომ რეპატრიანტებს გაუწია დახმარება შრომითს მოწყობასა და ბინით უზრუნველყოფაში.

როგორც თვითმხილველნი მოწმობენ, პაკისტანის ხელისუფალნი ამკაცრებენ რეპრესიებს ბანაკ-რეზერვაციებში შეკრებილ ავღანელ ლტოლვილთა წინააღმდეგ. ცნობილი გახდა, რომ ახლახან პაკისტანის რეგულარული არმიის ქვეგანყოფები თავს დაესხნენ ლტოლვილთა ბანაკს კოჰატის რაიონში, რათა აღეკვეთათ სამშობლოში მის ბინადართა დაბრუნების ყოველგვარი ცდა. მოკლეს ორი ავღანელი, 30-ზე მეტი მძიმედ დაჭრეს.

ფოტოინფორმაცია



ინდოეთის დედაქალაქის ათასობით მცხოვრებმა და სტუმარმა დაათვალიერა გამოფენა „სსრ კავშირის ოფტალმოლოგია“, რომელიც ახასიათებს სადარგთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „თვალის მიკროქირურგიის“ სპეციალისტთა უკანასკნელ მიღწევებს. კომპლექსს ხელმძღვანელობს ცნობილი საბჭოთა ოფტალმოლოგი, პროფესორი ს. ნ. ფიოდოროვი. ამ გამოფენის ექსპონატებს, რომელიც უდიდესია საზღვარგარეთ ასეთ ექსპოზიციათა შორის, გაეცნენ მადრასელები, ბომბეელები, კალკუტელები და ინდოეთის ზოგიერთი სხვა ქალაქის მცხოვრებნი.

• • •

სურათზე: ექსპოზიციის გამოფენა დელში.

ს. კარმალიტოს ფოტო. (საკადრი).

◆ ინდოეთი

მორიგი ნაყალბევი

დელი. ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა უარყო როგორც „დუსაბუთებელი და ყალბი“ დასავლეთის პრესაში გავრცელებული ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა წყალქვეშა ნავები იყენებენ ინდოეთის ბაზას ნიკობარის კუნძულებზე.

ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართული მორიგი ბრიფინგის დროს, საგარეო-პოლიტიკური უწყების წარმომადგენლის შეკითხვას მან უპასუხა, რომ საბჭოთა ხომალდები არავითარი ბაზითან არ სარგებლობენ ინდოეთის ტერიტორიაზე.

◆ ვიეტნამი

საინფორმაციო სააგენტო შარქოფს

ჰანოი. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მტკიცედ უარყო ტაილანდის მხარის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი გაგზავნილ წერილში ჩამოყალიბებული მტკიცება, თითქოს ვიეტნამელი მოხალისენი კამბუჩიაში მიმდინარე წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში არაერთგზის შეჭრილიყვნენ ტაილანდის ტერიტორიაზე და ცეცხლი დაეშინოთ მშვიდობიელ ლტოლვილთა ბანაკებისათვის.

ამგვარი მონაჭორების გავრცელებით, აღნიშნავს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, ბანგკოკი ცდილობს მიჩქმალოს ის, რომ თავად არღვევს კამბუჩიის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო საზღვრებს, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაცილოს დანაშაულობებს, რომლებსაც გადარჩენილი პოლპოტელი არამზადები და ქმერის რეაქციის ბანდები სჩადიან.

ინტერპოლი

ფაქტები • მოვლენები

უპერსპექტივო შეხვედრა

დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აშუქებენ შვიდი უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ვენეციის თათბირის მიმდინარეობას და აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ვერ ახერხებს მიაღწიოს დასახულ მიზანს — „შემოიკრიბოს“ პარტნიორები თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიის გარშემო.

გაზეთი „ნიუ-იორკ-ტაიმსი“ აღნიშნავს: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შოლცმა გამოთქვა აზრი, რომ „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწია საწადელს“. მაგრამ პრეზიდენტის სხვა ძირითადმა თანაშემწეებმა უფრო თავშეკავებით გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, კერძოდ, საუბრების დროს. „უდღისწესიგო და უპერსპექტივო შეხვედრა“ — ასე უწოდა მას თეთრი სახლის ერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

როგორც პრესა აღნიშნავს, შეხვედრის მონაწილეებზე ზემოქმედებას ახდენს სსრ კავშირის საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები: ლონდონის „ფაინენშლ ტაიმსს“ მიაჩნია, რომ ვენეციაში მიღებული პოლიტიკური დოკუმენტები „გამოხატავს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის ყველაზე იმედისმომცემ შეფასებას მრავალი წლის მანძილზე“. დასავლეთის ლიდერებმა, წერს გაზეთი, პირველად გამოთქვეს პირდაპირი თანხმობა საბჭოთა ხელმძღვანელობის პოლიტიკის მიმართ, როდესაც აღნიშნეს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში გაჩნდა „გარდატეხის“ შესაძლებლობა.

ინგლისური „გარდიანი“, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ ვენეციის შეხვედრაზე დომინირებდა საბჭოთა კავშირი, რომელიც აქ არ ყოფილა. ამერიკის პრეზიდენტმა და სხვა დასავლელმა ლიდერებმა შეხვედრაზე გულახდილად აღიარეს, რომ დადგა დრო სერიოზულად მიუდგნენ მოვლენებს.

დასავლეთის პრესა ვენეციის თათბირის შესახებ

▼▼

და მაინც, შეხვედრის მონაწილეთა მიერ მიღებული პოლიტიკური დოკუმენტები ფაქტობრივად მხოლოდ ზოგადი სიტყვებით უვლიან გვერდს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აღნიშნავს „ლუმანიტი“. მაგალითად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის თაობაზე მიღებულ დეკლარაციაში პრაქტიკულად უგულებელყოფილია საბჭოთა წინადადებანი ევროპაში ბირთვული რაკეტების შესახებ და ამავე დროს დადასტურებულია, რომ დასავლეთმა „უსათუოდ“ უნდა შეინარჩუნოს „ბირთვული შეკავების ძალები“.

ეხება რა თათბირზე ეკონომიკური პრობლემების განხილვას, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სტატიაში „ამერიკა ვერ აღწევს საწადელს ეკონომიკურ მოლაპარაკებაზე“ წერს: რაც უფრო უახლოვდება დასასრულს მოლაპარაკება, ოფიციალური პირნი აცხადებენ, რომ საეჭვოა, რომ მიღებული იქნება რამდენიმე ყურადსაღები წინადადებანი ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე.

◆ სამხრეთ კორეა

გაუსწორდნენ პროტესტის მონაწილეებს

ტოკიო. ეკრანზეა დამწვარი ავტობუსები, მინგრეულ-მონგრეული ბარიკადები, შეიარაღებული პოლიციელები, რომლებიც დაჭეთხავენ შეშინებულ გამვლელებს. ასეთნაირად გამოიყურება იაპონიის ტელევიზიის ახალი ამბების პროგრამებში სამხრეთ კორეა, სადაც ოთხშაბათს გადაიარა მძლავრი საპროტესტო გამოსვლების ტალღამ პროამერიკული ხუნტის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ უკვდავყოს თავისი ყოფნა ხელისუფლების სათავეში მმართველთა შეცვლის ოპერაციის დახმარებით.

10 ივნისს, „პრეზიდენტის პოსტზე ახალი კანდიდატის“ — გადამდგარი გენერლის რო დე უს ოფიციალური დანიშვნის დღეს, მარტო სეულის ქუჩებში გამოვიდა 40 ათასამდე კაცი, რომლებიც გაიძახოდნენ: „ძირს დიქტატურა!“. როგორც სამხრეთ კორეის უშიშროების ძალების სარდლობამ აღიარა, საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა 22 ქალაქსა და დაბაში. პოლიციასთან გაფთრებული შეტაკებების დროს დაიჭრა 400-ზე მეტი კაცი, 3800-ზე მეტი დაპატიმრებულია. დემონსტრანტებმა, რომლებიც დამსჯელებს ბენზინიანი ბოთლებით იგერიებდნენ, დაწვეს პოლიციის ექვსი ჯავშანმანქანა, გაანადგურეს უშიშროების ძალების 14 საყრდენი პუნქტი და მმართველი პარტიის ორი ადგილობრივი განყოფილება. ფანჯრები ჩაუმსხვრიეს სეულის უდიდეს სასტუმრო „ლოტეს“, რომელსაც გუშინ მანიფესტანტები ნახევარ საათს იცავდნენ პოლიციის რაზმების შეტევისაგან.

ჩონ დუ ხვანმა განაცხადა, რომ სეულის ხელისუფალნი „არ მიერიდებიან მსხვერპლს“, თუ ოპოზიცია კვლავაც განაგრძობს პრეზიდენტის არჩევნების წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობას, რომელზეც ახლანდელი სისტემის დროს გარანტირებულია „ოფიციალური კანდიდატის“ რო დე უს გამარჯვება. ხელისუფლებმა, კერძოდ, უკვე გამოაცხადეს, რომ აპირებენ მოაწყონ სასამართლო პროცესები მღელვარების დაპატიმრებული ორგანიზატორების მიმართ. ამავე დროს ოპოზიციის წამყვანმა ძალამ — გაერთიანებულმა დემოკრატიულმა პარტიამ, თავის მომხრეებს მოუწოდა მთელ სამხრეთ კორეაში არ შეწყვიტონ ბრძოლა პროამერიკული რეჟიმის მიერ განზრახული არჩევნების მომზადების წინააღმდეგ.

◆ კანადა

მილიტარიზაციის გზაზე

ოტავა. კონსერვატორთა მთავრობა დაადგა ქვეყნის ეკონომიკის მილიტარიზაციის გზას, ნათქვამია განცხადებაში, რომელითაც გამოვიდა კანადის კომუნისტური პარტია.

კანადის სამხედრო სამზადისი, აღნიშნულია დოკუმენტში, ხორციელდება „საბჭოთა კავშირის მხრივ ომის საფრთხის“ არსებობის საბაბით. მაგრამ გაუგებარია, რა საფრთხეზეა ლაპარაკი. არქტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი ამბობს უარს ცნოს ცენტრალური ამერიკა და, ისევ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ერევა ნიკარაგუის სუვერენულ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ახლო აღმოსავლეთში კი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი იყენებს სამხედრო-საზღვაო ძალებს, რათა თავს მოახვიოს საკუთარი პოლიტიკა სხვა ქვეყნებს.

კანადელებმა, „ნათქვამია კომპარტიის განცხადებაში, უნდა ჰკითხონ თავის თავს: რატომ არის, რომ სწორედ ახლა, როცა მსოფლიოში ფართოვდება შეიარაღებისამი კონტროლის დაწესების მოთხოვნები, როცა გაჩნდა ევროპაში საშუალო საშორის რაკეტებისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შესაძლებლობა, ბრაიან მალრუნის მთავრობამ აირჩია საწინააღმდეგო გზა — ეკონომიკის მილიტარიზაციის გზა.

კანადას, ხაზგასმულია განცხადებაში, საფრთხეს უქმნის არა საბჭოთა კავშირი, არამედ გამალებული შეიარაღება. დროა კანადის მთავრობამ იხელმძღვანელოს ამ ფაქტით, თავი დაანებოს მშვიდობაზე ლაპარაკს, როცა სოლიდარობს ამერიკის შეერთებული შტატების გლობალურ სამხედრო სტრატეგიას. კანადის მთავრობამ უნდა აკრძალოს კანადის მიწა-წყალზე ამერიკის ფრთოსანი რაკეტების გამოცდა და კანადა ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად გამოაცხადოს.

ბირთვული აპოკალიფსისი: ფანტაზიიდან რეალობისაკენ?

მართლაც რომ მშვენიერია ზაფხულში კანზას-სიტი; ნოყიერი სათოვრებითა და ნაყოფიერი მდელოებით, გარეგან კოპწია, შიგნით კი ხალვათი და კომფორტული კოტეჯებით, ბეისბოლის დიდებული მოედნებითა და ლაქვარდოვანი საცურაო აუზებით. ტიპური ამერიკული პატარა ქალაქის უდრტვინველი რიტმს ვერ არღვევს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების — „მინიტმენების“ საშიში შეზობლობა;

ფერმერები უკვე შეეჩვევნენ რაკეტების მომსახურე პერსონალისათვის აგებულ ჯუჯა შენობებს, შეეჩვევნენ მუდამ მომღიმარე ახალგაზრდა სამხედროებსაც, ღია ავტომანქანებით რომ მოდიან სამორიგეოდ და სპეციალური ლიფტით ეშვებიან ქვესკნელში — რაკეტების სამეფოში, სადაც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაშია ათეულობით ურჩხული.

...ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებები დაწერილებით გადმოსცემენ ცნობებს აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური კრიზისის შესახებ. დღითი დღე ცხობები სულ უფრო და უფრო საგანგაშოა, თუმცა ფატალური ფინალისა არავის სჯერა. და აი, ყველასათვის მოულოდნელად კანზასსიტელები ქალაქის თავზე, ულრტბლო ცაში აჭრილ „მინიტმენებს“ ხედავენ. იმას, რაც შემდეგ მოჩანს ეკრანზე, მეცნიერებმა კარგა ხნის წინათ უწოდეს ბირთვული აპოკალიფსისი; აი, ასეთია მოკლედ ამერიკული ფილმის — „მეორე დღის“ სცენარი.

როდესაც ოთხი წლის წინ ფილმის პრემიერა მოეწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეტექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ამერიკელებმა უკვე ცხადად დაინახეს და შეიგნეს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს „ბირთვულ პოკერს“. საინტერესოა, რომ ქვეყნის არც ერთმა სერიოზულმა კინოკრიტიკოსმა მხოლოდ ფანტასტიკურ კატეგორიას არ მიაკუთვნა ფილმი „მეორე დღეს“.

ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შემაძრწუნებლად, რეალისტურად შეძლეს პატარა ქალაქის მაგალითზე მთელი მსოფლიოსათვის დაეხატვინათ ის, რაც მოხდება, თუ დაუყოვნებლივ არ ვიღონეთ რამე. სპეციალისტები ხშირად კამათობენ ამა თუ იმ რომანის, სპექტაკლის, ფილმის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე. ვფიქრობ, რომ კაცობრიობის დღევანდელი რეალობის თვალსაზრისით ფილმი „მეორე დღეს“, ხსენებული ენარის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

ერთ დროს რატომღაც მიუღებლად ითვლებოდა აშკარა წერა და ლაპარაკი (რომ აღარაფერი ვთქვათ ფილმის ჩვენებაზე) იმ ჯოჯოხეთურ საშინელებაზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას, ერთის მხრივ, და ფართო მასების პოლიტიკურ ინფანტილიზმს, მეორეს მხრივ. „მეორე დღის“ მთავარი ღირსება ისაც არის, რომ იგი ადგილს აღარ სტოვებს ასეთი ინფანტილიზმისათვის. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე იმდენჯერ თქმულა და დაწერილა ბირთვულ საფრთხეზე, რომ ბევრის თვალში მან რეალური არსი დაკარგა და წმინდა პოლიტიკურ სენტენციად იქცა. აი, უკვე მეხუთე ათწლეული დაიწყო, რაც ადამიანის გენიამ ბოთლიდან ამოუშვა ბირთვული ჯინი, მაგრამ ხიროსიმისა და ნაგასაკის შემდეგ იგი „მშვიდობიანად თანაარსებობს“ ადამიანთან. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ იგივე ამერიკაში ახალი თაობის ბირთვულ რაკეტებს „მშვიდობის გუშაგებიც“ კი უწოდეს.

...ახლა ისევ ჩვენს დღევანდელობას დავუბრუნდეთ. მას შემდეგ, რაც ამერიკულმა „ალაფენამ“ (ასე უწოდეს „მანპეტენის პროექტის“ ავტორებმა მოფერებით პირველ ამერიკულ ბომბს) ხიროსიმის ნანგრევებითა და რადიაქტიური ღრუბლით ამცნო მსოფლიოს ახალი — ბირთვული ერის დასაწყისი, პირველად შეიქმნა უკვე არსებული ბირთვული იარაღის რეალური შემცირების პერსპექტივა. მკითხველისათვის ცნობილია, რომ საკითხი ეხება საშუალო რადიუსის ბირთვულ რაკეტებს. მართალია ლაპარაკია მსოფლიოში დაგროვილი ბირთვული იარაღის დაახლოებით ორი პროცენტით (ევროპაში კი არსებული იარაღის 20 პროცენტით) შემცირებაზე, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც მაქსიმალიზმი საუკეთესო მეთოდია; ყველაზე მაღალ მწვერვალზე ასასვლელადაც ხომ პირველი ნაბიჯის გადადგმაა საჭირო და ხშირად სწორედ დაწყება ჭირს ყველაზე ძლიერ. რაც უფრო მალე დაიწყება ეს პროცესი, ხომ მით უფრო მალე მოვა საბჭოთა და ამერიკის ბალისტიკური რაკეტების რიგიც? ხომ მით უფრო მალე განთავისუფლდებიან როგორც ამერიკელი, ასევე საბჭოთა მოქალაქენი ბირთვული რაკეტების საშიში მეზობლობისაგან? ამ საკითხში საბჭოთა პოზიციამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა, იგი სტაბილური და პრინციპული, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მაისის დამლევს ბერლინში მართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის კომუნიკეში: „...კარდინალური ამოცანაა ომის თავიდან აცილება. მისი სამუდამო გამორიცხვა კაცობრიობის ცხოვრებიდან, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და გადასვლა განიარაღების, უწინარესად ბირთვული განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებებზე“.

ბერლინში მიღებულ დოკუმენტზე ბევრი ითქვა და დაიწერა. საერთაშორისო წრეებში იგი სამართლიანად შეაფასეს როგორც ახალი აზროვნების ნიმუში, სადაც პრინციპულად არის დაყენებული ტექნიკის პროგრესთან შედარებით (შეიარაღების სფეროში) პოლიტიკურ სფეროთა პრევალირების საკითხი. რა გვიჩვენა წარსულის მწარე გამოცდილებამ? 1970-იანი წლებიდან მოყოლებული მარტო ბირთვული შეიარაღების კონტროლის სფეროში 11 წელზე მეტ ხანს მიმდინარეობდა მოლაპარაკება. მის პარალელურად კი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ეპარებოდეს პარტნიორის პატიოსნებაში. ვინაიდან ასეთი ნდობა სამუშაოზოდ დღეს ერთობ პრობლემატურია, ამიტომაც ბევრი ნება ერთადერთ პანაცეად კონტროლი. ამიტომაც იქნება საეჭვო ღირებულების ნებისმიერი ხელშეკრულება განიარაღებაზე, რომლის გაკონტროლებაც რთული ან შეუძლებელი იქნება. ამიტომაც არის, რომ დღეს კიდევ ასე ჯიუტად იშველიებენ კონტროლის არგუმენტს შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების მოწინააღმდეგენი. თუმცა ერთი რამ ფაქტია, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ გარაზზოვნად განაცხადა, რომ მისთვის კონტროლის საკითხი პრობლემას არ წარმოადგენს და თანხმაა ნებისმიერ კონტროლზე, ზემოხსენებული „არგუმენტი“ თანდათანობით, მაგრამ განუხრელად კარგავს დამჯერებლობის ელემენტს. ყოველივე ეს ფაქტია, მაგრამ მწარე გამოცდილებამ იმდენად გაგვიმახვილა სიფრთხილის გრძნობა, რომ ახლაც კი, როდესაც ჟენევაში თითქოს უკვე მიღწეულია გადამწყვეტი თუ არა, დიდი პროგრესი (მხარეებმა დაუხუსტეს ურთიერთმისაღები ხელშეკრულების ტექსტის პროექტი), მაინც ნაადრევად მიგვაჩნია კონტროლის პრობლემის, როგორც ხელოვნური მუხრუჭის „ჩამოწერა“.

განიარაღების მოწინააღმდეგენი კიდევ არა ერთხელ მოიშველიებენ კონტროლის დილემას ნებისმიერი ხელშეკრულების დისკრიმინაციისათვის. ამიტომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მათი „არგუმენტები“ და შევეცადოთ ობიექტურად გავერკვეთ უკანასკნელის საფუძვლიანობაში; როგორც ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში არც თეთრ სახლს. ანალოგიური ხასიათის ექვსი „არგუმენტი“ მოჰყავს გაზეთს და ყველა მათგანი საქმეში ჩაუხედავ ადამიანზეა გათვალისწინებული.

აქ ერთი გარემოებაა საინტერესო; რასაკვირველია წერილის ავტორმა (ჰეკეტმა, რომელიც 1981 წელს შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების საგენტოს დირექტორის მოვალეობასაც კი ასრულებდა) მშვენივრად იცის, რომ მისი „არგუმენტები“ არავითარ შთაბეჭდილებას არ მოახდენს იგივე ამერიკელ ექსპერტებზე და დიპლომატებზე, მათთვის ცნობილია რეალური ვითარება. მაშ რაღა ფასი აქვს მათ? საქმეც ის არის, რომ გარკვეული წრეებისათვის ამას მნიშვნელობა აქვს. გარკვეულწილად სწორედ ასეთი სტატიების და „არგუმენტების“ დამსახურებაცაა ის ერთი შეხედვით არაბუნებრივი სიტუაცია, რომელიც ახლა სუფევს ამერიკაში. მართლაც „არაბუნებრივია“, რომ შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების საგენტოს დირექტორი, მდგრადი კონსერვატორი, განიარაღებაზე შეთანხმებათა ძველი მოწინააღმდეგე ედელმანი დღეს საშუალო რადიუსის რაკეტების შემცირების მომხრეა, ხოლო ვისკონსიელი დემოკრატი, წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა გავლენიანი კომიტეტის თავჯდომარე ესპინი კი, ბირთვული იარაღისაგან ევროპის განთავისუფლების მოწინააღმდეგეა, თუმცა 1981 წლიდან პრინციპულად მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადებას. ევროპიდან ბირთვული რაკეტების გატანის საბჭოთა წინადადების ირგვლივ, ამერიკის მემარჯვენე და ზომიერ წრეებს შორის ტრადიციულად არსებული წინააღმდეგობანი იდეოლოგიურ ქოსში გადაიზარდა; დღეს ბევრი ამერიკელი ანტაკომუნისტი ევროპელ სოციალისტებთან ერთად მოითხოვს ხელშეკრულების დადებას, ხოლო ზოგიერთი ლიბერალი-დემოკრატი დასავლეთ გერმანელ კონსერვატორებს უეცრს მხარს და ხელშეკრულების წინააღმდეგია. 70-იანი წლების განმეტბეგის კურსის ამერიკელი ინიციატორები კისინჯერი და ნიქსონი კი, დაუღალავად იმეორებენ, რომ „პენტაგონი მხარს უჭერს ხელშეკრულების იდეას, რომელსაც ხატოს 40-წლიანი არსებობის ისტორიაში უეცლაზე ღრმა კრიზისი მოჰყვებოდა“.

მიმმიხილველებს საერთოდ თავგზა აებნათ, როდესაც ხელშეკრულებისადმი თავისი პოზიცია შეცვალა თვით რიჩარდ პერლმაც. მას უკანასკნელ დრომდე საერთაშორისო უსაფრთხოების დარგში თავდაცვის მინისტრის თანაშემწის პოსტი ეკავა. 1981 წლიდან მოყოლებული, ვაშინგტონის ხელისუფლების კორიდორებში პერლზე უფრო საშიში და შეურიგებელი მტერი არა ჰყოლია შეიარაღებაზე კონტროლის საქმეს. გამოუსწორებელ სკეპტიკოს პერლს, საერთოდ უაზრობად მიაჩნდა ნებისმიერი ხელშეკრულება. ასეთ მოულოდნელ მეტამორფოზას კისინჯერი იმით ხსნის, რომ მომავალი ხელშეკრულება არ ეხება სტრატეგიულ შეიარაღებას და პერლს „ეზიზღება ევროპელები“(?!), ამერიკაშიც და მის გარეთაც ბევრს ახსოვს თუ რა დაუნდობლად და მწარედ აკრიტიკებდა 70-იან წლებში პერლი (მაშინ იგი ცნობილი რეაქციონერი-სენატორის პერი ჯექსონის თანაშემწე იყო) კისინჯერს სწორედ შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებში.

რით შეიძლება აიხსნას როგორც პერლის, ასევე სხვების ასეთი არათანმიმდევრობა? ძნელია ერთ საგაზეთო წერილში ვაშინგტონის პოლიტიკური რეალობის რთული მოზაიკის ზუსტი კლასიფიკაცია. იგივე პერლი აცხადებს, რომ საშუალო რაკეტების შემცირების ხელშეკრულება, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე დადებულ ხელშეკრულებათა შორის ყველაზე უკეთ დაიცავს დასავლეთის ინტერესებსო. პირდაპირი გაგებით არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო ასეთი შეფასების; განა ჩვენც ამას არ ვამტკიცებთ, რომ, რაც უფრო შორსწარმავალია ბირთვული განიარაღების ხელშეკრულება, მით უფრო ეფექტიანად ემსახურება იგი თითოეული მხარის ინტერესებს. ჩვენ არასოდეს მიგვაჩნდა, რომ განიარაღება მხოლოდ რომელიმე ერთი მხარის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაცია აუცილებლივ შეეცდება მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარ, ვიწრო-პარტიულ სამსახურში ჩააყენოს ნებისმიერი პროგრესი განიარაღების სფეროში. ეს უკვე ამერიკელთა შინაური საქმეა და ჩვენ ამაში არ ვერევით. ჩვენი ინტერესთა სფერო ზუსტად არის შემოფარგლული — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ბირთვულმა ხანძარმა დოკუმენტური ხასიათი არ მისცეს ფილმ „მეორე დღის“ კადრებს.

სოსო ცინცაძე,
„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

ინტერპოლი

ფაქტები • მოვლენები

 სტიქია და ადამიანები

კვლავ წყალდიდობა!

გვატყობინებენ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები

გორი. ტორტლა, ჭარებულა, მეჯუდა.. ეს პატარა მდინარეები ისე შრება (მეტადრე ზაფხულში), თავიანთ კალაპოტში ძლივს მოწანწკარებენ. ამ დღეებში მოსულმა განუწყვეტელმა წვიმებმა კი ერთიანად გააავა და გააცოფა ისინი.

10 ივნისს, ღამით მდინარეებმა კალაპოტი გადმოლახეს და ღვარცოფად მოასკდნენ გორის რაიონის სოფლებს — კარალეთს, ქიწნისს, ბერბუკს, სვენთისა და რეხას. დაიტბორა საზოგადოებრივი მეურნეობის ათობით ჰექტარი ხეხილის ბაღები, ერთწლოვანი კულტურები, მრავალწლოვანი ნათესები და საკარმიდამო ნაკვეთები, წყალი მისწვდა საცხოვრებელ სახლებსაც.

მსხვერპლი არ არის, და ეს, პირველ რიგში, თავად ადამიანთა თავდადების შედეგია.

10 ივნისს მთელ ღამეს ებრძოდნენ სტიქიას რაიონის აგრონომრეწველო გაერთიანების სამსახურები, სასოფლო საბჭოებთან ჩამოყალიბებული მაშველი რაზმები და მოსახლეობა.

პარტიის რაიონულ კომიტეტთან შექმნილი სტიქიის წინააღმდეგ მებრძოლი შტაბი პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს სტიქიის მოსალოდნელი შემოტევის აღსაკვეთადაც.

11 ივნისს დილით სამსახურში მიმავალი გორელები გაოცებული დარჩნენ. მდინარეების — წმინდა წყლისა და მეჯუდისაკენ გამავალი ქუჩების საბარგო ავტომანქანებით გადაკეტილი რომ დაუხვდათ.

ცხინვალის ფართო გზატკეცილზე მეჯუდა ზათქით მოაგორებდა მღვრიე ტალღებს. აღარც ტორტლა და წმინდა წყალი მოედინებოდნენ ჩვეულებრივ — ისინიც ქუჩებში და გზებზე გადმოსულიყვნენ! ეს მდინარეები კი ქალაქის შუაგულში გამავალ ლიახვსა და მტკვარში ჩაედინებიან.

ქართლში კვლავ მატულობს წყლის დონე მტკვრისა და ლიახვის კალაპოტში.

სტიქიის მოსალოდნელი შემოტევის გამო ქალაქის მშრომელებ, წარმოება-დაწესებულებები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული და ბევრი სამუშაოც შესრულდა მდინარეთა ნაპირგამაგრებისათვის. და მაინც ვერ მოხერხდა მოსალოდნელი ზარალის მთლიანად თავიდან აცილება.

10 ივნისს ღამით წყალი შეევარდა მექანიკური ქარხნის ეზოსა და საამქროებში, დაიტბორა სხვა სამრეწველო ობიექტები და საცხოვრებელი სახლების სარდაფები.

საბედნიეროდ მსხვერპლი არ არის. ქალაქის ხელისუფლებმა განსაცდელში ჩავარდნილთა გამოყვანაც მოასწრეს და მათი სასტუმროებში დაბინავებაც.

სტიქია თუმცა არ დამცხრალა, ქალაქში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წყალდიდობით მოყენებული ზარალის ლიკვიდაციის სამუშაოები.

11 ივნისს გორსა და გორის რაიონის წყალდიდობის ადგილებში იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გილაშვილი და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაური.

გ. ვაშაკიძე.

ამბროლაური. 8 ივნისს დილით დაწყებული კოკისპირული წვიმა სამ დღეს გაგრძელდა. ისედაც ადიდებული რიონი მთლად გადაირია. მდინარის დონემ მთელი ორი მეტრითა და 10 სანტიმეტრით იმეტა. ტალღები გადმოიჭრა და დატბორა რაიონული ცენტრის სანაპირო ქუჩები. შიშინ

საბინაო-საექსპლოატაციო უბნის პასპორტისტმა ზედმიწევნით იცის თავისი უბნის მცხოვრებთა ვინაობა და ასაკი, რაც ადგილობრივ მოსახლეობისთვის ასეთ ადვილ-დასავალი, რადგან იგი აფორმებს მობინადრეთა ჩაწერა-ამოწერის საქმეს და ინახავს საბინაო ბარათებს. თუ ასეა, პასპორტისტს უბნის მობინადრეთა გასაცნობად და შესასწავლად დრო სჭირდება. ნანული სპირიდონის ასულ რაზმაძეს დრო ამისათვის არ ჰქონდა. იგი სხვა საქმიანობას ეძებდა. 1984 წელს დაიწყო მუშაობა პასპორტისტად თბილისის საქარხნო რაიასპეჭოს აღმასკომის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის 106-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბანში. არ მოეწონა კონტიგენტი და №103 საბინაო-საექსპლოატაციო უბანში გადავიდა. აქ დაუკავშირდა თბილისის მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკის მუშას ვენერა ივანეს ასულ ლეკიაშვილს და საკმილოსაც მალე მიაგნო: ერთ-ერთი მუშის ფერიდა დემნიჩიევას დას, წალკის რაიონის სოფელ ბუშთაშენში მცხოვრებ როზა ალიევას თბილისში უნდოდა ჩაწერა და, რა თქმა უნდა, ბინაც. ვენერამ დები საბინაო-საექსპლოატაციო უბანში პასპორტისტ ნანული რაზმაძეს აახლა.

— რომელ გინდათ თბილისში ჩაწერა და ბინის მიღება, — იკითხა პასპორტისტმა.

—მე მინდოდა, — უთხრა როზამ და პასპორტისტს ვედრებით სავსე თვალები მიაპყრო.

— ძალიან ძნელია, მაგრამ შენისთანა კარგ გოგოს გულს ვერ დავწყვეტავ. ყველა საჭირო საბუთები მომიგოროვე და მომიტანე. პირდაპირ გეტყვი, ამ საქმეს რვა ათასი მანეთი დასჭირდება, ისიც ვენერას ხათრით, მისი ახლო მეგობრები ყოფილხართ. რომ იცოდეთ, აქედან მე კაბაკი არ მრჩება, ვინც უნდა გააკეთოს, სულ იმას უნდა მივცე.

დატრიალდნენ დები. ხუმრობა ხომ არ იყო, როზა ალიევა თბილისის სრულუფლებიანი მოქალაქე ხდებოდა. ისესხეს ფული ნათესავებისაგან და 1985 წლის პირველ აგვისტოს რვა ათასი მანეთი ვ. ლეკიაშვილს ჩაუთვალეს ნ. რაზმაძისათვის გადასაცემად.

ვ. ლეკიაშვილმა იმავე დღეს რვა ათასი მანეთი მიიტანა ნ. რაზმაძესთან. მაგრამ ორი ათასი მანეთი შუამავლობისათვის თავის წილად დაიტოვა.

ფული ჩაიჯიბა ნ. რაზმაძემ და აეროპორტის დასახლებაში მდებარე 104-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბანში გადავიდა, მაგრამ რვა თვე წაიმუშავა და მეასე საბინაო-საექსპლოატაციო უბანს მიეკვლინა, ვერც აქ გაძლო და კვლავ 103-ეს დაუბრუნდა.

თბილისის საქარხნო რაიასპეჭოს აღმასკომის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის ხელმძღვანელობა კი ნ. რაზმაძეს ახირებასა და ჯირეულობას ხელს უწყობდა და საშუალებას აძლევდა რომელ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაშიც მოისურვებდა, იქ გადასულიყო. ამჯერად რაზმაძეს ველარაფერ დაიფარავს.

წორილი ნანი გიორგის ასული მენთეშაშვილი შვილთან ერთად თბილისს ჩამოვიდა. მფარველისა და დედაქალაქში ჩამწერი პროტექტორის ძებნაში აქეთ ეცა, იქეთ ეცა და გააცნეს თბილისის ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის თანამშრომელი ოთარ ვახტანგის ძე ცხადაძე.

რატომ ცხადაძე?

ახლავე გაიგებთ.

პირველი მაისის რაიასპეჭოს აღმასკომმა ო. ცხადაძეს სამ სულზე (თვითონ, ცოლი და შვილი) მისცა ორთვალიანი იზოლირებული ბინა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, ო. ცხადაძის მამამ კი მიიღო მის გვერდით გამოთავისუფლებული 16 კვადრატული მეტრი ერთთოთახიანი ბინა.

ბინის მიღებიდან სამი წლის შემდეგ ო. ცხადაძე განქორწინდა ცოლთან — სვეტლანა ელკანასთან, რომელიც ისეთი სათნო და მოწყალე აღმოჩნდა, რომ მეუღლისაგან არ მოითხოვა ბინის ნაწილი და ქალიშვილთან ერთად გადაეწერა ანაგის ქუჩაზე დედის ბინაში.

მიხვდით არა, სწორედ ო. ცხადაძეს რატომღაც გააცნეს წნორელი ქმარგაცილებული ნანი მენთეშვილი და მისი შვილი. ბედნაცვლამ ამ ორმა ადამიანმა იქორწინა და როგორც „კანონიერი ცოლი ნანი მენთეშაშვილი მეუღლესთან ჩაეწერა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ორთვალიან ბინაში.

რვა თვის შემდეგ ო. ცხადაძემ სახალხო სასამართლოს განცხადება მიართვა, რომელშიც თხოულობდა ოჯახური უსამოვნების ნიადაგზე ნ. მენთეშაშვილთან განქორწინებას. ორი თვის შემდეგ კი ო. ცხადაძემ გუდანაბადი აიკრა, ამოწერა ბინიდან და კიევში ამოყო თავი.

აუსრულდა წლობით ნანატრი ოცება ნ. მენთეშაშვილს. იგი ორთვალიანი იზოლირებული ბინის მფლობელი და თბილისელი გახდა. ორჯონიკიძის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტმა ბინა ო. ცხადაძის თანხმობით ადვილად გადაუფორმა ნ. მენთეშაშვილს.

ო. ცხადაძე მესამედ დაქორწინდა კიევში მარინე უვაიევასთან და დაიწყო მუშაობა კიევის ავტომატიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერმუშაკად, მაგრამ დიდხანს არ უცხოვრია მესამე მეუღლესთანაც, განქორწინდა და კვლავ თბილისს ეწვია.

კვაჭი კაცია ო. ცხადაძე. კიევიდან თბილისში ჩამოსვლისთანავე მოძებნა დავით ბახტაძე. მის დედას თამარ წულაიას ლენინის ქ. №75-ში სამთვალიანი ბინა აქვს. შვილიც დავით ბახტაძე მასთან არის ჩაწერილი და ცხოვრობს. დ. ბახტაძეს ჯავახიშვილის ქუჩის პირველი ჩიხის №5-შიც აქვს ოცდაექვსი კვადრატული მეტრი საკუთარი ბინა.

მოილაპარაკეს ო. ცხადაძემ და დ. ბახტაძემ და სწორედ ჯავახიშვილის ქუჩის პირველ ჩიხში საცხოვრებლად უვარგის ბინაში ჩაწერაზე მიმართა თხოვნით ო. ცხადაძემ კალინინის რაიონის რაიაღმასკომთან არსებულ მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერის საკითხების განმხილველ კომისიას. უმტკივნეულოდ და უშვალებლად ჩაწერეს ო. ცხადაძე.

საკვირველი და საკითხავია რატომ წაუყრუეს და არ დაინტერესდნენ კალინინის რაიაღმასკომის და შინაგან საქმეთა განყოფილების სამასპორტოს მუშაკები, ოთარ ცხადაძემ ასე იოლად რომ დაუთმო ბინა ნანი მენთეშაშვილს, რომელთანაც ქორწინებაში იმყოფებოდა სულ რვა თვე, რატომ განქორწინდა პირველ მეუღლესთან და რატომ არ მოითხოვა სვეტლანა ელკანამ ფარითობი, როდესაც შვილთან ერთად ჩაწერილი იყო ბინის ორდერში, რა მიზეზით იყო თბილისიდან ამოწერა და საცხოვრებლად კიევში გადასვლა.

ამჟამად ო. ცხადაძე მუშაობს საქართველოს სარემონტო-სამონტაჟო უბანში სამუშაოთა მწარმოებლად, ბინაში, სადაც ოფიციალურად ჩაწერილია, კი არ ცხოვრობს, არამედ როგორც ამბობენ, — თავის პირველ მეუღლესთან.

როგორც ხედავთ, ყველა ეს მაქინაცია იმისათვის იყო გამიზნული, რომ პარტიის წევრ ო. ცხადაძეს გაეყიდა სახელმწიფო ბინა.

ქალაქებისა და რაიონების აღმასკომები, სასოფლო საბჭოები ზერელედ ეკიდებიან, ზოგჯერ კი უხეშად არღვევენ ჩაწერა-ამოწერის კანონიერებას, უსაფუძვლოდ, წესების დარღვევით წერენ მოქალაქეებს. ამის მაგალითად საბუელი (ყვარელის რაიონი) ოთარ დავითის ძე მაისურაძის მაგალითი გამოდგება. ოცდაცამეტი წლის ო. მაისურაძე ყვარგულის“ მაგივრად ახალი პასპორტების მიღებას და ჩაწერას, რატომ არ იყო მის მიმართ დაწესებული სათანადო ზედამხედველობა? ყოველივე ამაში ბრალი მიუძღვით საბინაო-საექსპლოატაციო უბნებს, მილიციის უბნის რწმუნებულებს, შინაგან საქმეთა განყოფილებათა სასასპორტო მუშაკებს.

არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი თბილისის საბინაო-საექსპლოატაციო უბნებსა და რესპუბლიკის ზოგიერთ სასოფლო საბჭოში მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერისა და რეგისტრაციის საქმეში. სუსტად მუშაობენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს სისტემაში შემავალი საბინაო-საექსპლოატაციო უბნები. უხეშად ირღვევა მოქმედი ინსტრუქცია, დროულად არ ხდება გარდაცვლილ ან ამოწერილ პირებზე რიცხული ბინების გადაფორმება, მობინადრეთა ჩაწერის ბარათები იკუბარა ულარსოდ, ბევრგან საერთოდ უგულვებელყოფილია საბინაო ბარათების წარმოება. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ხელს უშლის მოსახლეობის საბინაო პირობების დროულად გადაწყვეტას და ნიადაგს უქმნის სხვადასხვა სერიოზულ დარღვევას. შეიძლება ამითვე აიხსნას ის გარემოება, რომ თბილისში არ კლებულობს გამოკეტილი და გაუფორმებელი ბინები. ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე და ითქვა, რომ ბევრი დარღვევა ხდება მოქალაქეთა ჩაწერისა და გადაწერის დროს. საბურთალოს რაიონში გამოვლინდა 420-ზე მეტი ეგრეთ წოდებული „ჩაკეტილი“ ბინა, რომელთა უმრავლესობა სოლიდურ ფასად არის გაქირავებული.

საჭიროა შემოწმდეს, თუ ვინ არიან ამ ბინების ფორმალური მფლობელები, რატომ არ ცხოვრობენ იქ, რა საშუალებებით, რა საფუძველზე გასცეს ორდერები.

საქარხნო რაიონის №99 საბინაო-საექსპლოატაციო უბანში შერჩევით შემოწმებისას გამოვლინდა დამქირავებლის ამოწერის ან გარდაცვალების შემდეგ გადაუფორმებელი ორმოცდათუთმეტი ბინა. ვითომ ეს საბინაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსის რ. ოსმაიოლოვის, პასპორტისტების თ. თეთნაძისა და ნ. გეგუჩაძის გულმავიწყობით მოხდა?

ამავე რაიონის №102 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსმა გ. ინაშვილმა და პასპორტისტმა გ. ზამბახიძემ ისე არიეს საქმე, რომ შეუძლებელია დაზუსტდეს მოქალაქეთა მიგრაცია, ჩაწერილ ან ამოწერილ პირებზე გაცემული ცნობების სისწორე.

საბინაო-საექსპლოატაციო უბნებში ხდება მოქალაქეთა ჩაწერის დოკუმენტების ფალსიფიკაცია. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის №117 საბინაო-საექსპლოატაციო უბნის პასპორტისტმა ლეილა სურმავამ ყალბი ჩანაწერი გააკეთა და ფორმა №15-ში ხელოვნურად გაზარდა საცხოვრებელი ფართობი, რომ ჩაეწერა ზ. გიგინეიშვილი. ეს პასპორტისტი ისეა დახელოვნებული სიყალბეში, როგორც უნდა, ისე ზრდის და ამცირებს ფორმა №15-ში საცხოვრებელი ბინის ფართობს და ბინაში ჩაწერილთა რაოდენობას.

მოყვანილი ფაქტები ხდებაში ველისა და დედაქალაქში ჩამწერი პროტექტორის ძებნაში აქეთ ეცა, იქეთ ეცა და გააცნეს თბილისის ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის თანამშრომელი ოთარ ვახტანგის ძე ცხადაძე.

რატომ ცხადაძე?

ახლავე გაიგებთ.

პირველი მაისის რაიასპეჭოს აღმასკომმა ო. ცხადაძეს სამ სულზე (თვითონ, ცოლი და შვილი) მისცა ორთვალიანი იზოლირებული ბინა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, ო. ცხადაძის მამამ კი მიიღო მის გვერდით გამოთავისუფლებული 16 კვადრატული მეტრი ერთთოთახიანი ბინა.

ბინის მიღებიდან სამი წლის შემდეგ ო. ცხადაძე განქორწინდა ცოლთან — სვეტლანა ელკანასთან, რომელიც ისეთი სათნო და მოწყალე აღმოჩნდა, რომ მეუღლისაგან არ მოითხოვა ბინის ნაწილი და ქალიშვილთან ერთად გადაეწერა ანაგის ქუჩაზე დედის ბინაში.

მიხვდით არა, სწორედ ო. ცხადაძეს რატომღაც გააცნეს წნორელი ქმარგაცილებული ნანი მენთეშვილი და მისი შვილი. ბედნაცვლამ ამ ორმა ადამიანმა იქორწინა და როგორც „კანონიერი ცოლი ნანი მენთეშაშვილი მეუღლესთან ჩაეწერა ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე ორთვალიან ბინაში.

ანგარებისა და სიყალბის პასპორტი

რვა თვის შემდეგ ო. ცხადაძემ სახალხო სასამართლოს განცხადება მიართვა, რომელშიც თხოულობდა ოჯახური უსამოვნების ნიადაგზე ნ. მენთეშაშვილთან განქორწინებას. ორი თვის შემდეგ კი ო. ცხადაძემ გუდანაბადი აიკრა, ამოწერა ბინიდან და კიევში ამოყო თავი.

აუსრულდა წლობით ნანატრი ოცება ნ. მენთეშაშვილს. იგი ორთვალიანი იზოლირებული ბინის მფლობელი და თბილისელი გახდა. ორჯონიკიძის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტმა ბინა ო. ცხადაძის თანხმობით ადვილად გადაუფორმა ნ. მენთეშაშვილს.

ო. ცხადაძე მესამედ დაქორწინდა კიევში მარინე უვაიევასთან და დაიწყო მუშაობა კიევის ავტომატიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერმუშაკად, მაგრამ დიდხანს არ უცხოვრია მესამე მეუღლესთანაც, განქორწინდა და კვლავ თბილისს ეწვია.

კვაჭი კაცია ო. ცხადაძე. კიევიდან თბილისში ჩამოსვლისთანავე მოძებნა დავით ბახტაძე. მის დედას თამარ წულაიას ლენინის ქ. №75-ში სამთვალიანი ბინა აქვს. შვილიც დავით ბახტაძე მასთან არის ჩაწერილი და ცხოვრობს. დ. ბახტაძეს ჯავახიშვილის ქუჩის პირველი ჩიხის №5-შიც აქვს ოცდაექვსი კვადრატული მეტრი საკუთარი ბინა.

მოილაპარაკეს ო. ცხადაძემ და დ. ბახტაძემ და სწორედ ჯავახიშვილის ქუჩის პირველ ჩიხში საცხოვრებლად უვარგის ბინაში ჩაწერაზე მიმართა თხოვნით ო. ცხადაძემ კალინინის რაიონის რაიაღმასკომთან არსებულ მოქალაქეთა ჩაწერა-ამოწერის საკითხების განმხილველ კომისიას. უმტკივნეულოდ და უშვალებლად ჩაწერეს ო. ცხადაძე.

საკვირველი და საკითხავია რატომ წაუყრუეს და არ დაინტერესდნენ კალინინის რაიაღმასკომის და შინაგან საქმეთა განყოფილების სამასპორტოს მუშაკები, ოთარ ცხადაძემ ასე იოლად რომ დაუთმო ბინა ნანი მენთეშაშვილს, რომელთანაც ქორწინებაში იმყოფებოდა სულ რვა თვე, რატომ განქორწინდა პირველ მეუღლესთან და რატომ არ მოითხოვა სვეტლანა ელკანამ ფარითობი, როდესაც შვილთან ერთად ჩაწერილი იყო ბინის ორდერში, რა მიზეზით იყო თბილისიდან ამოწერა და საცხოვრებლად კიევში გადასვლა.

ამჟამად ო. ცხადაძე მუშაობს საქართველოს სარემონტო-სამონტაჟო უბანში სამუშაოთა მწარმოებლად, ბინაში, სადაც ოფიციალურად ჩაწერილია, კი არ ცხოვრობს, არამედ როგორც ამბობენ, — თავის პირველ მეუღლესთან.

როგორც ხედავთ, ყველა ეს მაქინაცია იმისათვის იყო გამიზნული, რომ პარტიის წევრ ო. ცხადაძეს გაეყიდა სახელმწიფო ბინა.

ქალაქებისა და რაიონების აღმასკომები, სასოფლო საბჭოები ზერელედ ეკიდებიან, ზოგჯერ კი უხეშად არღვევენ ჩაწერა-ამოწერის კანონიერებას, უსაფუძვლოდ, წესების დარღვევით წერენ მოქალაქეებს. ამის მაგალითად საბუელი (ყვარელის რაიონი) ოთარ დავითის ძე მაისურაძის მაგალითი გამოდგება. ოცდაცამეტი წლის ო. მაისურაძე

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲘᲡ

ᲒᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების იტორინსპექცია და საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები ადგილობრივი გაზეთის მუშაკებთან ერთად ხშირად აწყობენ რეიდებსა და შეამოწმებენ ავტოსატრანსპორტო მოძრაობის წესების დარღვევათა გამოსავლენად. გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მიუხედავად, კვლავ ვხვდებით მოძრაობის წესების უხეშ დარღვევებს. დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ავარიები ხშირად ნასვამი მძღოლების მიზეზით ხდება. ისინი დიდ საფრთხეში აგდებენ როგორც ქვეითებს, ისე საზოგადოებრივ და კერძო ტრანსპორტს და,

ᲡᲘᲤᲮᲘᲖᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

რა თქმა უნდა, საკუთარ სიცოცხლესაც.

შარშან ქალაქისა და მისი ზონის სოფლების საავტომობილო გზებზე მოხდა 14 ავტოსაგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა ერთი მოქალაქე, სხვილის დაზიანება კი მიიღო 18 კაცმა. აღნიშნულ პერიოდში საქალაქო ავტოინსპექციამ გამოავლინა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის 2000-ზე მეტი შემთხვევა.

ამას წინათ სტალინის სახელობის შახტის მიწისქვეშა სანგრევის მუშა, კომკავშირელი ემზარ სოფრომაძე მამამისის „ეიგულში“ ჩაჯდა და გააქროლა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ვერ დაიმორჩილა ავტომანქანა და ტყიბულ-ამბროლაურის საავტომობილო გზის პირველსავე კილომეტრზე ბეტონის საყრდენ კედელს შეასკდა. მანქანა მნიშვნელოვნად დაზიანდა, თვითონ მძღოლმა ტრავმა მიიღო. მოძრაობის წესების უგულებელყოფის გამო ერთმანეთს შეეჯახნენ საწირის კოლეგიურნეობის სატვირთო და „ვაზ-2106“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა. მათ მართავდნენ დ. ქათამაძე და ი. ობოლაძე, რომლებიც დაშავდნენ.

რეიდებმა და შემოწმებებმა გამოავლინა აგრეთვე სხვაგვარი დარღვევები. ზოგიერთი მძღოლი სახელმწიფო ავტომანქანას პირადი გამორჩენის მიზნით იყენებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ავტობუსის მძღოლებზე. ალისუბნის სამარშრუტო ავტობუსს, რომელსაც თ. ცირეკიძე მართავდა, ამას წინათ 8 უბილეთო მგზავრი გადაჰყავდა. მძღოლ მ. ჩაფიძესაც შემოწმებისას 5 უბილეთო მგზავრი ჰყავდა.

ძალზე გულსატკენია, რომ ღვინოს აყოლილი მძღოლი თავს უფლებას აძლევს მთვრალმა მართოს შანქანა. ასეთების მიმართ სასტიკ ღონისძიებებს იხორციელებს ავტოინსპექციის სამსახური. მაგალითად, საკუთარი ავტომანქანის მფლობელს ა. არაშვილს, რ. კაპანაძეს, ბ. კირკიტაძეს საფისკვალიფიკაციო კომისიამ 36 თვით ჩამოართვა ავტომანქანის მართვის უფლება და თან თითოეული 100-100 მანეთით დააჯარიმა. ღვინის სმაში შემჩნეული არიან პროფესიონალი მძღოლები. № 1 ავტოსაწარმოდან — ზ. ზოსიაშვილი, მექანიზაციის სამმართველოდან — გ. კუბლაშვილი, კომუნალურ საწარმოთა კომბინატიდან — გ. ქათამაძე, კურსების კოლმეურნეობიდან — დ. ჭარბალაშვილი...

სხვადასხვა დარღვევისათვის სამი წლით აკრძალათ მართვის უფლება სამთო საწარმოთა მუშაკებს ა. ფადაიევს, ჯ. ბუცხრიკიძეს, ზ. ოყროშიძეს, დ. აბულაძეს, რ. ფორჩხიძეს, ლ. ცნობილაძეს, გ. ფართლაძეს და სხვებს. ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

წესის დამრღვევი მძღოლების მიმართ გამოიყენეს ტკაცრი სანქციები — ჩამოართვეს მართვის უფლება.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ

ᲜᲝᲛᲮᲕᲘᲡᲐ და თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა ორი შეხვედრით, რომლებიც 9 და 10 ივნისს აფხაზეთის დედაქალაქში გაიმართა, რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა. სოხუმელებმა ორივე მატჩი მოიგეს — 98:94 და 106:94. ამრიგად, სატურნირო ცხრილში ყველა თავისუფალი გრაფა შეივსო. გამოვლინდნენ მთავარი და მეორე ფინალური ჯგუფების მონაწილენი და ა.წ. ერთნირსაც ახალი, უფრო პასუხსაგები მნიშვნელობა მიენიჭა.

ახლა დებულებასაც შეიძლება გადავხედოთ, და ამის საფუძველზე გათამაშების შემდგომი ხასიათიც განესაზღვროთ. ექვსი უძლიერესი კოლექტივი (სამ-სამი ყოველი ჯგუფიდან), ცხადია, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გაგრძელებს. პირველი ჯგუფის გუნდები მეორე ჯგუფის მონაწილეებს თბილისის ტურში ორ-ორჯერ შეხვდებიან. ამ ეტაპის შეხვედრები, რომლებიც ექვს კალენდარულ დღეს მოიცავს, დღეს დაიწყება.

მერე სუპერფინალების პერიოდიც დადგება. უძლიერესთა ექვსეულში პირველ-მეორე ადგილებზე გასული კოლექტივები ორ (საპირფოლების შემთხვევაში სამ) მატჩში რესპუბლიკის ჩემპიონის ოქროს მედლებს გაითამაშებენ, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულნი კი ანალოგიური სისტემით ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებენ.

მეორე ექვსეულის ტურნირიც თითქმის ასეთი სისტემით გაიმართება, ოღონდ მას, ცხადია, განსხვავებული დანიშნულება ექნება. მეთეთრმეტე-მეთორმეტე ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენის უფლება შესარჩევ ტურნირში უნდა მოიპოვონ.

პირველი ეტაპის მატჩებმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატის ახალ სისტემას დადებითი შედეგი მოჰყვა. ჯერ ერთი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით ტურნირი სოლიდური და საინტერესო გახდა. მერე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემთხვევითობის ფაქტორი მთლიანად თუ არა, მინიმუმამდე შემცირდა.

ესეც თავისებური მიღწევაა, თუ აქამდე რესპუბლიკის უძლიერესი გუნდის გამოვლენას 5 ან 6 კალენდარული დღე ჰყოფნიდა, ახლა, ჩემპიონატის მხოლოდ პირველ ეტაპზე თითოეულ მონაწილეს 20 შეხვედრის გამართვა მოუხდა.

წლევანდელი გათამაშება 4 აპრილს დაიწყო. მას შემდეგ ორ მოკავშირეთა ეროვნული ნაკრები ერთ-ერთ ოლიმპიურ ნომერ ერთ ფავორიტად ითვლებოდა. ეს ფავორიტობა ეფუძნებოდა ბოლო ორ-სამ წელიწადში ჩატარებულ ოლიმპიურ ტურნირებზე ამ ორი ნაკრების ერთმანეთთან ორ-ორ ოლიმპიურ ტურნირზე